დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. ნინო წერეთელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. შორენა ბადურაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240891031

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბრეთი
ფაქტობრივი მისამართი	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბრეთი
საფოსტო ინდექსი	4500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	qarbreti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591056679

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	11/03/2026, გრძანება N 300203; 20/03/2026, ცვლილების გრძანება -N337916
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 16 და 17 აპრილი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო

				პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**ქარელი, სოფელი ბრეთი. შენობა 1**
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**ქარელი, სოფელი ბრეთი. შენობა 1**
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**ქარელი, სოფელი ბრეთი. შენობა 1**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2026 წლის 11 მარტის N300203 და 2026 წლის 20 მარტის N337916 ბრძანებების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს {(თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრები: ნინო წერეთელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); შორენა ბადურაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)} დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლაში (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

ბრძანებების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს 2026 წლის 16 და 17 აპრილს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა - დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განსაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ გამართა ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გასაუბრებების განრიგი, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

ვიზიტის ფარგლებში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა გამართეს შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნობრივმა ექსპერტებმა დისტანციურ ფორმატში ჩაატარეს გასაუბრებები კათედრების ხელმძღვანელებთან და შესაბამის საგნობრივ მასწავლებლებთან. შეხვედრები წარიმართა პოზიტიურ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტებმა მასწავლებლებს მიაწოდეს საქმიანი და კონსტრუქციული უკუკავშირი, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები კურიკულუმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული გასაუბრებების პროცესში და საგნობრივ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების რევიზიაში.

ვიზიტი მთლიანობაში წარიმართა თანამშრომლობით გარემოში. დაწესებულებამ უზრუნველყო ექსპერტთა საქმიანობის მხარდაჭერა, შესაბამისი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების დროული წარმოდგენა. ვიზიტის პროცესში თვალსაჩინო იყო დაწესებულებაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ჩამოყალიბებული მიგნებები ვიზიტის დასასრულს გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐**	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	ექსპერტთა მიერ, ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ერთდროულად შესაძლებელია მაქსიმუმ 150 მოსწავლის განთავსება.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	• სკოლამ შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სკოლის ეზოს სრული და უსაფრთხო შემოსაზღვრა, დაზიანებული ღობის რეაბილიტაცია - სტანდარტებთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით **განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის სექტემბერი (მეტწილ შესაბამისი).** • უზრუნველყოს სკოლის მიმდებარედ არსებულ მდინარესთან დამატებითი დამცავი ბარიერებით აღჭურვა. ასევე, მნიშვნელოვანია უსაფრთხოების რისკების პერიოდული შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, რათა სასკოლო გარემო იყოს მეტად დაცული, უსაფრთხო და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული - სტანდარტებთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით **განსაზღვრულ ვადაში - 2027 წლის მაისი (მეტწილ შესაბამისი).** • სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ეზოს/ღია სპორტული მოედნის დაზიანებული საფარის ეტაპობრივი რეაბილიტაცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო - სტანდარტებთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით **განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის სექტემბერი (მეტწილ შესაბამისი).** • **სკოლამ უზრუნველყოს შენობის** - კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგება, შიდა და გარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობის დემონტაჟი და სრულად

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		დადებითი დასკვნის მოპოვება, შესაბამისი ორგანოებიდან სტანდარტებთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით **განსაზღვრულ ვადაში - 2028 წლის 1 აგვისტომდე (ნაწილობრივ შესაბამისი).** • სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება, რომელიც სტანდარტებთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით **განსაზღვრულია 2 წლის ვადაში - 2025 წლის 23 დეკემბრიდან -2027 წლის 23 დეკემბრამდე (ნაწილობრივ შესაბამისი).** • სკოლამ უზრუნველყოს **ვიდეოკამერების დამონტაჟება** - შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **2028 წლის 8 იანვრამდე (ნაწილობრივ შესაბამისი).** **სრულად იხილეთ აღწერილობით ნაწილში**
ინდიკატორი N3.5.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	• სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო კაბინეტის მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ **ვადაში 2027 წლის 23 დეკემბრამდე (ნაწილობრივ შესაბამისი).**
ინდიკატორი N3.5.1.4.	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	• სკოლამ უზრუნველყოს პანდუსების დამონტაჟება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **2027 წლის 23 დეკემბრამდე (ნაწილობრივ შესაბამისი).**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სასურველია, სტრატეგიულ გეგმაში სვოტ ანალიზით გამოვლენილი სუსტი მხარეები აისახოს ამოცანების დონეზე, მკაფიო ფორმულირებით და შედეგზე ორიენტირებული შინაარსით.
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სასურველია, სამოქმედო გეგმაში მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას შენარჩუნდეს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მიზნების იდენტური ფორმულირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს დოკუმენტებს შორის სრული თანხვედრა და არ მოხდეს მიზნების შინაარსობრივი ცვლილება.
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	• სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს სტრუქტურირებული დოკუმენტი, სადაც განისაზღვრება მონიტორინგის პერიოდულობა, გამოყენებული მეთოდები, პასუხისმგებელი პირები და თითოეული აქტივობის შესრულების ინდიკატორები. აღნიშნული უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და უწყვეტობას, რაც ხელს შეუწყობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ეფექტიანობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებას. • ასევე სასურველია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლამ იხელმძღვანელოს მონაცემთა სისტემური შეგროვების პრინციპით. მნიშვნელოვანია ისეთი წყაროების გამოყენება, როგორიცაა ტესტირების შედეგები, სასწავლო პროცესზე დაკვირვების ჩანაწერები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი, ასევე დაგეგმილი აქტივობების შესრულების ანალიზი. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების სანდოობას, სიზუსტესა და აქტუალურობას. შედეგების გაზიარება სასურველია განხორციელდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომი ფორმით, მათ შორის პედაგოგიური საბჭოსა და მშობელთა შეხვედრების, კლასის დამრიგებლების, ელექტრონული ჟურნალის, საინფორმაციო

		დაფისა და დახურული საკომუნიკაციო ჯგუფების მეშვეობით. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს როგორც მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას, ისე სკოლის მუდმივ განვითარებას, მიზნების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესებას და სტრატეგიული გეგმის ეფექტიან განხორციელებას. შედეგად, სკოლა იღებს სისტემურ უკუკავშირს, რომელიც საშუალებას აძლევს გააძლიეროს სუსტი მხარეები და უზრუნველყოს ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს ფორმირება თითოეული მოსწავლისთვის.
ინდიკატორი N1.2.2.3.	**სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**	სასურველია, ანგარიშგების პროცესში, სკოლამ უზრუნველყოს ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის მშობლებისთვისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვის, რათა გაძლიერდეს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.
ინდიკატორი N1.2.2.4.	**სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**	სასურველია, სკოლამ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების განხორციელებული ანალიზი, განსაზღვრული ინტერვენციები და შესრულებული ქმედებები ასახოს შესაბამის დოკუმენტაციაში. დოკუმენტირებული ფორმით მონაცემების აღრიცხვა უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობის სანდო ასახვას, პროცესის გამჭვირვალობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის, პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას და სტრატეგიული მიზნების შესრულების ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.2.	**სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს სტრუქტურული ერთეულებისა და კოლეგიური ორგანოების (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და სხვ.) ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გამაერთიანებელი დოკუმენტი ან დებულებები. აღნიშნული უზრუნველყოფს როლებისა და პასუხისმგებლობების მეტად მკაფიო, გამჭვირვალე და ერთგვაროვან განსაზღვრას, ასევე გააძლიერებს მართვის პროცესების ეფექტიანობასა და მონიტორინგის შესაძლებლობებს.

ინდიკატორი N3.2.1.1.	**სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**	სკოლაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მყარი საფუძველი, თუმცა სასურველია არსებული პრაქტიკების ერთიან შეფასების სისტემაში ინტეგრირება, მრავალმხრივი ინდიკატორების გამოყენება და შედეგების მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზის გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მიზნობრივ განვითარებას და სკოლის საერთო ხარისხის გაუმჯობესებას.
ინდიკატორი N3.2.1.2.	**პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**	სასურველია, პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესი გახდეს უფრო სისტემური და დაიგეგმოს წინასწარ განსაზღვრული, საჭიროებებზე დაფუძნებული წლიური გეგმის ფარგლებში. აღნიშნული გეგმა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მიზნებს, აქტივობებსა და შეფასების ინდიკატორებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობასა და შედეგიანობას.
ინდიკატორი N3.2.1.3.	**სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**	სასურველია კარიერული განვითარების პროცესის უფრო მკაფიოდ დაგეგმვა და სისტემატიზაცია, რათა ის პირდაპირ იყოს დაკავშირებული თითოეული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნებთან და სკოლის საერთო სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.
ინდიკატორი N3.3.1.2.	**იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**	სასურველია, სკოლის ძირითადი პროცესების უფრო მეტად სისტემატიზაცია და ერთიან ჩარჩოში თავმოყრა, რაც ხელს შეუწყობს მართვის კიდევ უფრო ეფექტიანობას.
ინდიკატორი N3.4.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ,**	სასურველია, სკოლამ აიყვანოს ან აუთსორსინგის გზით უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რადგან ეს ხელს შეუწყობს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას, რისკების პრევენციასა და ეფექტიან მართვას, ასევე შესაბამისი ნორმებისა და რეგულაციების დაცვას.

	უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.4.1.8.	**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**	სასურველია, უსაფრთხოების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის დანერგვა და ინციდენტების რეგისტრაციისა და ანალიზის სტანდარტიზებული მექანიზმის შემუშავება. აღნიშნული ნაბიჯები გააძლიერებს პრევენციულ მიდგომებს, უზრუნველყოფს პროცესების მეტ გამჭვირვალობას და კიდევ უფრო გააუმჯობესებს უსაფრთხოების მართვის სისტემის ეფექტიანობას.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევები:** • X კლასში (საქართველოს ისტორია) საკითხები და მათი კლასტერები სასურველია ორგანულად დაუკავშირდეს სამიზნე ცნებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი მექანიკური ან ხელოვნური მითითება. • სამიზნე ცნებების განაწილებისას (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) სასურველია მათი მიზნობრივი გადანაწილება შესაბამის საკითხებსა და საკითხთა კლასტერებზე. • მე-10 და მე-11 კლასებში (პროექტული სწავლება) სასურველია დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყოს მე-12 კლასის ანალოგიურად, სრულყოფილი სტრუქტურით. მხოლოდ განხორციელების ეტაპისა და რეფლექსიის ნაცვლად, სასურველია პროექტის დეტალური გეგმის წარმოდგენა, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთება პროექტის მიზნები, კავშირი სამიზნე ცნებებთან, შეფასების რუბრიკები და ვადები, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში პროექტული სწავლების სისტემურობის წარმოჩენას. **უცხოური ენები**

		რჩევა: სასურველია გაგრძელდეს მუშაობა კურიკულუმების იმგვარ დახვეწაზე, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დიფერენცირებული მიდგომების დანერგვას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ენობრივი პროგრესის გათვალისწინებით. **მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია სხვადასხვა თემატური ბლოკის თემები არ გაერთიანდეს ერთ თემად. მაგალითად, V კლასში „გამოსახულება“ მიეკუთვნება ალგებრის მიმართულებას, ხოლო „კუთხე“ და „მრავალკუთხედი“ გეომეტრიას, თუმცა წარმოდგენილ კურიკულუმში ისინი ერთ თემადაა გაერთიანებული. ანალოგიურად, „ამოცანები მოძრაობაზე და ფართობის შესახებ“ მოიცავს საკითხებს სხვადასხვა თემატური ბლოკიდან. აღნიშნულის გათვალისწინება სასურველია, რათა უზრუნველყოფილი იყოს თემატური სტრუქტურის სიზუსტე და სასწავლო მასალის ლოგიკური ორგანიზება. **ტექნოლოგიები** **რჩევა:** კურიკულუმების უფრო მეტი სრულყოფისთვის, სასურველია ძირითადი კონტექსტ-მაგალითების გრაფაში კონკრეტული მაგალითები და სიტუაციური სცენარი იყოს აღწერილი, რაც დაეხმარება მოსწავლეს, ტექნიკური ამოცანა აღიქვას როგორც რეალური გამოწვევა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის მოტივაციასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში. მაგალითად: V კლასის კურიკულუმში , ნაცვლად ჩანაწერისა „მაღაზიის სალაროს მუშაობის პრინციპი“, სასურველია ჩამოყალიბდეს როლური თამაში: „მოსწავლე ირგებს მაღაზიის მენეჯერის როლს, რომელმაც Excel-ის მეშვეობით უნდა დათვალოს დღიური ნავაჭრი და დაგეგმოს მარაგების შევსება“. **სპორტი** **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ კათედრას ჰქონდეს არჩეული თანამშრომლობითი კულტურით კურიკულუმის ფორმა. იყოს თემების შესაბამისობა,საკითხების და რესურსების თანხვედრა და სხვა.
ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**სახელმწიფო ენა**

		რჩევა: მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები და დავალების იდეა/პირობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევები:** • სასურველია სამიზნე საგნობრივ კურიკულუმში (განსაკუთრებით VI კლასის „ჩვენი საქართველო“ და XI კლასის ისტორია) თითოეულ თემასთან მიეთითოს ყველა ის სამიზნე ცნება, რომელსაც სტანდარტი განსაზღვრავს მოცემული საფეხურისთვის. • სასურველია, სამოქალაქო განათლებისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში (VII-X კლასები) სამიზნე ცნების დასახელებად შენარჩუნდეს სტანდარტისეული ტერმინი - „საზოგადოება“, ხოლო „სოციალიზაცია“ მიეთითოს ქვეცნების სახით, რათა დოკუმენტაცია სრულად შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტის იერარქიას. • სასურველია, XII კლასის ისტორიის პროგრამიდან ამოღებულ იქნას თემა „მსოფლიო XIX საუკუნეში“, ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, აღნიშნული ისტორიული პერიოდის სწავლება განსაზღვრულია XI კლასისთვის. • ასევე სასურველია სამიზნე ცნებები შინაარსობრივად დაუკავშირდეს კონკრეტულ საკითხებსა და კლასტერებს, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი მექანიკური მითითება და მკაფიოდ წარმოაჩნდეს თითოეული ცნების დამუშავების პროცესი საგაკვეთილო თემების ფარგლებში. • X კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში, თემაში „სამართლებრივი კულტურა“, სასურველია დაემატოს სამიზნე ცნება „დემოკრატია“, რაც უზრუნველყოფს საკითხის სრულფასოვან დამუშავებას სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. **უცხოური ენები**

		რჩევა: სასურველია გაგრძელდეს კურიკულუმების გამდიდრება შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევები:** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში თემის ფარგლებში უფრო სრულად აისახოს ყველა ის სამიზნე ცნება, რომელიც რეალურად მუშავდება სასწავლო პროცესში. კერძოდ: **II კლასი** – სასურველია, I და III თემებში მიეთითოს შესაბამისი სამიზნე ცნება; II თემაში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“, ხოლო I–V თემებში – „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“. **III კლასი** – სასურველია, II, IV და V თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება; I და III თემებში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“, ხოლო I–V თემებში – „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“. დამატებით, V თემაში მიზანშეწონილია მიეთითოს „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“. ასევე სასურველია, V თემაში მოცემულ შემოქმედებით დავალებაში დაკონკრეტდეს, თუ რომელ ტექნიკაში უნდა შეასრულოს მოსწავლემ ნამუშევარი. **IV კლასი** – სასურველია, II, IV და V თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება „სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები“, ხოლო V თემაში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“. ამასთან, სასურველია IV და V თემებში საკითხების უფრო მკაფიოდ წარმოდგენა. **V კლასი (სახვითი ხელოვნება)** – სასურველია, I, III და IV თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები“, ხოლო V თემაში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“. **V კლასი (მუსიკა)** – სასურველიაIV და V თემების გაერთიანება ერთ თემატურ ბლოკად („მუსიკა დრამატულ და პანტომიმის თეატრში“). ამასთან, თემების ჩარჩოს ერთგვაროვანი შევსება ყველა თემაში, პირველ თემაში გამოყენებული პრინციპის შესაბამისად. ასევე სასურველია ქვეცნებების დამატებითი დაკონკრეტება. **VI კლასი (მუსიკა)** – სასურველია IV და V თემების გაერთიანება ერთ თემატურ ბლოკად (ოპერა, მიუზიკლი, მუსიკა საბალეტო ხელოვნებაში). რეკომენდებულია

		თემების ჩარჩოს ერთგვაროვანი შევსება ყველა თემაში, პირველ თემაში გამოყენებული მიდგომის შესაბამისად. **საშუალო საფეხური (მუსიკა)** – სასურველია პროექტის იდეის დაკონკრეტება და მკაფიოდ განსაზღვრა, თუ რა ტიპის საბოლოო პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ პროექტის ფარგლებში. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, მათემატიკის 1-ელი და მე-4 კლასების კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები, მიეთითოს რესურსების გრაფაში სახელმძღვანელოდან და მოსწავლის სამუშაო რვეულიდან საკითხების შესაბამისი გვერდები. ბუნებისმეტყველებაში მე-3 და მე-4კლასების კურიკულუმებში თემები და საკითხები მოიყვანონ საგნობრივი სტანდარტის შესაბამისობაში.
ინდიკატორი N2.1.2.3.	..კურიკულუმით გათვალისწინებულ **რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლ **რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიღ **კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლ **შედეგების მიღწევას**	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია სახელმწიფო ენაში სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა**: XI კლასი (ისტორია): სასურველია მიეთითოს კონკრეტული დამატებითი რესურსები (ზოგადი დასახელების „Youtube“-ის ნაცვლად, მიუთითეთ პირდაპირი ბმულები კონკრეტული ვიდეომასალით). **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების თითოეულ თემაში სასურველია უფრო

		სრულად აისახოს ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე სასურველია მუსიკის კურიკულუმებში სამინისტროს მიერ შეთავაზებული რესურსები წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ ზოგადი მითითებით, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულები. სასურველია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VIII კლასის კურიკულუმის პირველ თემაში წარმოდგენილი ბმულები სასურველია გადატანილ იქნას თემატურ ბლოკში „ადამიანი და ხელოვნება“. **მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია, რესურსები (მაგ, მე-12 კლასი) იყოს უფრო მკაფიოდ და დეტალურად წარმოდგენილი, რადგან ეს უზრუნველყოფს მათი მიზნობრივად გამოყენებას, ამარტივებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვას და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ეფექტიანობას.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები სრულად აისახოს კურიკულუმებში. **უცხოური ენები** **რჩევა:** სასურველია, უცხოური ენების მასწავლებლებმა მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. ასევე შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე

		მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **სახოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია (გლობალური მოქალაქეობა - შეფასების რუბრიკა): განმსაზღვრე შეფასების რუბრიკაში მოცემული ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდეს და მოერგ უშუალოდ საგაკვეთილო საკითხს, რათა შეფასების პროცესი გახდეს უფრ გამჭვირვალე და გაზომვადი. **უცხოური ენები** **რჩევა:** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გაგრძელდეს შეფასების რუბრიკების შემუშავება თემებზე, საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებით, დავალების ტიპისა და საფეხურის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებას მოსწავლეთა პროგრესის წახალისებისთვის. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სამივე საფეხურზე, როგორც მუსიკაში, ისე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თითოეული თემის ფარგლებში სასურველია შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, მკაფიოდ და დეტალურად ფორმულირებული კრიტერიუმებით, რაც შეფასების პროცესს უფრო გასაგებს, ობიექტურსა და შედეგებზე ორიენტირებულს გახდის. **მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ესგთი განსაზღვრული რუბრიკების შესაბამისად, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და უნარები.

		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური **რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ საგნობრივ სტანდარტებს და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
ინდიკატორი N2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში დავალების პირობა უფრო კონკრეტული იყოს და ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით. **უცხოური ენები** **რჩევა:** სასურველია, შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ინტერაქციული და პრაქტიკული აქტივობების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციურ უნარებს და გაზრდის საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**სახელმწიფო ენა** **რჩევა**: სასურველია, კათედრამ აწარმოოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **უცხოური ენები**

		რჩევა: სასურველია შეფასების ინსტრუმენტების პერიოდული რევიზია და კათედრის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის გაძლიერება. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სასურველია, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ერთვოდეს შესაბამისი აღწერა (მაგ., რა შემთხვევაში ენიჭება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს. სასურველია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლო კრიტერიუმები ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად იყოს განსაზღვრული. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უკეთ გაგებას როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან და გააძლიერებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას. **მათემატიკა** **რჩევა**: სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული, რაც მათ მეტ აკადემიურობას შესძენს. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა**: სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.
ინდიკატორი N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია, გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.

		უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეინარჩუნოს სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი ინტერაქტიული რესურსების გამოყენების დინამიკა. მიზანშეწონილია კოლეგებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, განსაკუთრებით ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი კომპეტენციების შემდგომ განვითარებას. **მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში მითითებული ბმულების სათაურებში ჩანდეს, თუ რა საკითხს შეეხება ეს რესურსი, რაც გაამარტივებს საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევები:** • სასურველია, ხელოვნებისა და მუსიკის რესურსების ბაზა დაიგეგმოს კათედრის შეთანხმებით; • რესურსები დალაგდეს თემების, საგნებისა და კლასების მიხედვით კურიკულუმთან შესაბამისობაში; • აქტიურად იქნას გამოყენებული განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული ვებ-გვერდები და პლატფორმები; • მუსიკის საგნის სწავლებისას ინტეგრირდეს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსები, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას.
ინდიკატორი N2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია შემუშავებულ და გამოყენებულ იქნას სასწავლო რესურსების ვალიდაციის ფორმა.
ინდიკატორი N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია**	**უცხოური ენები**

	შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**რჩევა:** სასურველიამატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების შენარჩუნება და მათი პერიოდული განახლება ციფრული თუ ვიზუალური მასალით, ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია: მოამზადოს ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, აქტიური და სამოქალაქო აზროვნების მქონე პიროვნება, რომელიც იქნება ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების გამზიარებელი, კანონმორჩილი და ტოლერანტული. ზრუნავდეს ინკლუზიური გარემოს შექმნაზე. მოამზადოს მოსწავლეები წარმატებული მომავალი ცხოვრებისათვის, რათა სკოლის კურს დამთავრებულებმა შეძლონ თავისუფლად დაიმკვიდრონ ადგილი საზოგადოებაში.

სკოლის ხედვა: იყოს კონკურენტუნარიანი, გეგმავდეს განვითარების ინოვაციურ გზებს, ზრუნავდეს ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, მოზარდის უწყვეტ განვითარებაზე, განათლების ხარისხის ამაღლებაზე, თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე.

სკოლის ღირებულებები: სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- **გამჭირვალობა:** ჩვენი საქმიანობა, ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისათვის, უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.
- **მიუკერძოებლობა:** ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.
- **თანამშრომლობა და გუნდურობა:** ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.
- **ობიექტურობა:** ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.
- **განვითარება და ინოვაციურობა:** სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. არ ვერიდებით სიახლეების დანერგვას.

წარმოდგენილი მისია და ხედვა შინაარსობრივად თავსებადია ახალი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითად ღირებულებით ჩარჩოსთან და ასახავს იმ ფუნდამენტურ მიმართულებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეობრივი ცნობიერების, დემოკრატიული ღირებულებების, ტოლერანტობისა და ეროვნულ-კულტურული იდენტობის განვითარებასთან. ამ თვალსაზრისით, ტექსტი აშკარად ეყრდნობა ზგემ-ის პირველ, მესამე და მეექვსე მიზნებს და ქმნის სწორი ღირებულებითი ორიენტაციის საფუძველს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი მისია და ხედვა არსებითად ასახავს სკოლის როლს, როგორც პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს და ამ მხრივ შესაბამისობაში მოდის აღნიშნულ ინდიკატორთან. ტექსტში მკაფიოდ იკვეთება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისკენ მიმართული მიზნები - როგორც ღირებულებითი (ჰუმანიზმი, ტოლერანტობა, დემოკრატიული პრინციპები), ისე სოციალური (სამოქალაქო აზროვნება, საზოგადოებაში ინტეგრაცია), რაც ადასტურებს, რომ სკოლა საკუთარ ფუნქციას აღიქვამს ფართო სოციო-კულტურულ კონტექსტში.

ამასთანავე, მისია და ხედვა ნაწილობრივ მოიცავს უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს იდეას, განსაკუთრებით ინკლუზიური გარემოს შექმნაზე გაკეთებული აქცენტით, რაც ინდიკატორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. თუმცა უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობა ტექსტში უფრო იმპლიციტურად არის წარმოდგენილი და ნაკლებად არის გამოკვეთილი, როგორც სკოლის ერთ-ერთი ცენტრალური როლი.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ თავს, როგორც განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, თუმცა ინდიკატორის სრულ შესაბამისობას მეტად გააძლიერებდა უსაფრთხო გარემოსა და სასკოლო საზოგადოების კეთილდღეობაზე მიმართული როლის უფრო მკაფიო და მიზნობრივი გამოყოფა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექციასა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ფილოსოფიის ჩამოსაყალიბებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სკოლის ადმინისტრაციამ კოორდინაცია გაუწია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესს. სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით უზრუნველყოფილ იქნა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში. ამ მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრები, ფოკუს-ჯგუფები და საკონსულტაციო შეხვედრები, რის შედეგადაც შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები ასახავს სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვებსა და მოლოდინებს. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი პედსაბჭოს ოქმები და დამრიგებლების მიერ მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრის ანგარიშები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი პედსაბჭოს ოქმი. სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გავრცელება უზრუნველყო კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით - მათ შორის, სასკოლო ღონისძიებების, ინდივიდუალური შეხვედრების, მშობელთა კრებების, ასევე წერილობითი და ზეპირი ინფორმირების გზით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია როგორც სკოლის ფოიეში, ისე ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯარო ხელმისაწვდომობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. იგი დაფუძნებულია როგორც „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლა“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები);
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის “მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-38, 03.12.2025),). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, ასევე არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშგების პროცესებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 2025 -2032 ს/წლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას და ხედვას. გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და დირექტორის ბრძანებით № 2-30 18.09. 2025 წელი (ცვლილება შესულია 2025 წლის 12 დეკემბრის N2-51 ბრძანებით).

გეგმით განსაზღვრულია 5 სტრატეგიული მიზანი:

- სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება
- ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება
- სკოლის მართვის დემოკრატიული კულტურის განმტკიცება
- მატერიალურ- ტექნიკური ბაზა
- პარტნიორული ურთიერთობები

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან მიმართულებებს, თუმცა სრულად ვერ ასახავს სვოტ ანალიზის შედეგად გამოვლენილ რიგ სუსტ მხარეებს. კერძოდ, გეგმაში არ არის გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა არასრულყოფილი ინკლუზიური გარემო, ასევე სკოლის დამატებითი სერვისების სიმწირე.

შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, სტრატეგიულ გეგმაში სვოტ ანალიზით გამოვლენილი სუსტი მხარეები აისახოს ამოცანების დონეზე, მკაფიო ფორმულირებით და შედეგზე ორიენტირებული შინაარსით.

კერძოდ, სასურველია დამატებით განისაზღვროს შემდეგი ამოცანები:

- **ინკლუზიური გარემოს გაუმჯობესება და ყველა მოსწავლისთვის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფა;**
- **სკოლის დამატებითი საგანმანათლებლო და მხარდამჭერი სერვისების განვითარება;**

ამგვარად ჩამოყალიბებული ამოცანები უკეთ დააკავშირებს სტრატეგიულ გეგმას სკოლის რეალურ საჭიროებებთან და უზრუნველყოფს მის მიზნობრივ განვითარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში, სკოლამ იხელმძღვანელა შესაბამისი "მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით" თუმცა იმ პერიოდისთვის დოკუმენტი არ იყო დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით, რაც მოგვიანებით განხორციელდა. კერძოდ მეთოდოლოგია დამტკიცდა დირექტორის 2025 წლის 12 მარტის N2-38 ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის 2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავდა თვითშეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც წარმოდგენილ იქნა SWOT ანალიზის ფორმით. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა განხილულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ, ასევე დირექტორის ადმინისტრაციული აქტით № 2-30, 18.09.2025, ცვლილება შესულია 2025 წლის 12 დეკემბრის N2-51 ბრძანებით.

დოკუმენტის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნება ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს, ასევე ძირითადად ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რიგი მიზნებისა განსხვავებული ფორმულირებით არის წარმოდგენილი. **აღნიშნულიდან**

გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა: სამოქმედო გეგმაში მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისას შენარჩუნდეს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მიზნების იდენტური ფორმულირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს დოკუმენტებს შორის სრული თანხვედრა და არ მოხდეს მიზნების შინაარსობრივი ცვლილება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნები გაწერილია კონკრეტულ ამოცანებად. თითოეულ ამოცანას თან ერთვის შესრულების ვადები თვეების მიხედვით, შესრულების ინდიკატორები; განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ჩართული მხარეები და რესურსები - მატერიალური, ადამიანური, ფინანსური. სამოქმედო გეგმა მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ასპექტს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2025-2032 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 18 სექტემბრის სხდომის ოქმი N2;
- სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 18 სექტემბრის სხდომის ოქმი N1;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში აღწერილია სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, აგრეთვე წლიური ანგარიშის მომზადების წესი. დოკუმენტი განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებს, მეთოდებსა და პროცედურებს, რომელთა საფუძველზეც იგეგმება სკოლის გრძელვადიანი განვითარება და წლიური საქმიანობა.

მეთოდოლოგიის განსაზღვრულია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექტორის ადმინისტრაციული აქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფი განახორციელებს მონიტორინგს SWOT ანალიზის გამოყენებით. პროცესის ფარგლებში მოხდება სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, პრობლემების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა მათი გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის 2025–2026 სასწავლო წლის ანგარიშის მოსამზადებლად შექმნილია ჯგუფი (დირექტორის ბრძანება 10.12.2025), რომელსაც დაევალა სსიპ სოფელ ბრეთის საჯარო სკოლის მატერიალური და ადამიანური რესურსების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ჯგუფის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მონიტორინგის პროცესის დაწყება დაგეგმილია სასწავლო წლის ბოლოს, კერძოდ 1 ივნისიდან.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკოლას არ წარმოუდგენია მონიტორინგისა და შეფასების დეტალური გეგმა. **შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა,** შეიმუშაოს სტრუქტურირებული დოკუმენტი, სადაც განისაზღვრება მონიტორინგის პერიოდულობა, გამოყენებული მეთოდები, პასუხისმგებელი პირები და თითოეული აქტივობის შესრულების ინდიკატორები. აღნიშნული უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და უწყვეტობას, რაც ხელს შეუწყობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ეფექტიანობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებას. ასევე სასურველია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლამ იხელმძღვანელოს მონაცემთა სისტემური შეგროვების პრინციპით. მნიშვნელოვანია ისეთი წყაროების გამოყენება, როგორიცაა ტესტირების შედეგები, სასწავლო პროცესზე დაკვირვების ჩანაწერები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი, ასევე დაგეგმილი აქტივობების შესრულების ანალიზი. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების სანდოობას, სიზუსტესა და აქტუალურობას. შედეგების გაზიარება სასურველია განხორციელდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომი ფორმით, მათ შორის პედაგოგიური საბჭოსა და მშობელთა შეხვედრების, კლასის დამრიგებლების, ელექტრონული ჟურნალის, საინფორმაციო დაფისა და დახურული საკომუნიკაციო ჯგუფების მეშვეობით. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს როგორც მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას, ისე სკოლის მუდმივ განვითარებას, მიზნების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესებას და სტრატეგიული გეგმის ეფექტიან განხორციელებას. შედეგად, სკოლა იღებს სისტემურ უკუკავშირს, რომელიც საშუალებას აძლევს გააძლიეროს სუსტი მხარეები და უზრუნველყოს ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს ფორმირება თითოეული მოსწავლისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ანგარიშგების საჯაროობა სკოლის პროცესებში სისტემურად არის უზრუნველყოფილი, რაც ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების წარდგენას სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების წინაშე.

სკოლას მიეცა რჩევა, ანგარიშგების პროცესში უზრუნველყოს ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის მშობლებისთვისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვის, რათა გაძლიერდეს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები უნდა დაექვემდებაროს დეტალურ ანალიზს, რომლის ფარგლებში გამოიკვეთება როგორც ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეები. აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს შესაბამის ინტერვენციებს სუსტი მხარეების გაძლიერების მიზნით.

შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, რომ განხორციელებული ანალიზი, განსაზღვრული ინტერვენციები და შესრულებული ქმედებები ასახოს შესაბამის დოკუმენტაციაში. დოკუმენტირებული ფორმით მონაცემების აღრიცხვა უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობის სანდო ასახვას, პროცესის გამჭვირვალობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის, პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას და სტრატეგიული მიზნების შესრულების ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2025-2032 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მართვისა და საქმიანობის ორგანიზების გამართული სტრუქტურა.

სკოლაში ფუნქციონირებს ძირითადი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის: სამეურვეო საბჭო, დირექცია (დირექტორი და ბუღალტერი), ადმინისტრაციული პერსონალი (საქმისმწარმოებელი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ბიბლიოთეკარი), პედაგოგიური საბჭო და ტექნიკური პერსონალი (დარაჯი, დამლაგებელი, ექთანი).

ამასთან, დაწესებულებაში მოქმედებს დამატებითი კოლეგიური და წარმომადგენლობითი ორგანოები - დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები და მრჩეველთა საბჭო, რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის, ისე მართვის სხვადასხვა მიმართულების კოორდინირებულ და ეფექტიან განხორციელებას.

სკოლაში შექმნილია 5 საგნობრივი კათედრა, რომლებიც აერთიანებს სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების 22 პედაგოგს - მათ შორის 5 წამყვანი, 16 უფროსი და 1 მოწვეული მასწავლებელია.

სკოლის კოლეგიური სამუშაო ჯგუფების კომპეტენცია და საქმიანობის წესი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, ორი დარაჯი, ორი დამლაგებელი, სპეციალური მასწავლებელი და ცეცხლფარეში. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავს მათ ფუნქცია-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობების ფორმალურ განსაზღვრას, თუმცა ნაკლებად არის წარმოდგენილი მათი სისტემური გაწერა ერთიან, ინსტიტუციურ დონეზე დარეგულირებულ დოკუმენტებში.

სკოლაში სამუშაო პროცესების კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით ტარდება სამუშაო შეხვედრები და თათბირები, რაც ხელს უწყობს ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს სტრუქტურული ერთეულებისა და კოლეგიური ორგანოების (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და სხვ.) ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გამაერთიანებელი დოკუმენტი ან დებულებები. აღნიშნული უზრუნველყოფს როლებისა და პასუხისმგებლობების მეტად მკაფიო, გამჭვირვალე და ერთგვაროვან განსაზღვრას, ასევე გააძლიერებს მართვის პროცესების ეფექტიანობასა და მონიტორინგის შესაძლებლობებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშტატო განრიგი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- დასაქმებულთა ხელშეკრულებები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ბრეთის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი სრულად შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონს, შრომის კოდექსსა და განათლების სფეროში მოქმედ სხვა ნორმატიულ აქტებს. სკოლაში მოქმედი შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის სისტემურ და გამჭვირვალე წარმართვას.

ადამიანური რესურსების მართვა ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს (დირექტორის 2025 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №2-47), ასევე დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულებას (12.12 2025, ბრძანება №2-49) აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს პერსონალის შერჩევის, დანიშვნის, ფუნქციური განაწილებისა და პროფესიული მოთხოვნების საკითხებს.

სკოლაში შრომითი ურთიერთობები ფორმდება ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც შესაბამისობაშია სამუშაო აღწერილობებთან და მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. მასწავლებელთა შემთხვევაში გათვალისწინებულია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის რეგულაციები.

სკოლის შინაგანაწესი შესაბამისობაშია როგორც შრომით ხელშეკრულებებთან, ისე სხვა შიდა და გარე მარეგულირებელ დოკუმენტებთან. საჭიროების შემთხვევაში, მასში ცვლილებები ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ განხილვისა და დამტკიცების საფუძველზე.

დასკვნა:

სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ორგანიზებულია და სამართლებრივად გამართულია, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების სტაბილურობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ბრეთის საჯარო სკოლაში დანერგილია სისტემური, საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მართვის მიდგომა, რომელიც ერთდროულად მოიცავს როგორც მოსწავლეთა მხარდაჭერის, ისე პერსონალის მართვის მიმართულებებს. სისტემა ეფუძნება მონაცემთა რეგულარულ ანალიზს და დროულ რეაგირებას გამოვლენილ საჭიროებებსა და გამოწვევებზე.

პერსონალის და მოსწავლეების მართვის ნაწილში განსაზღვრულია დისციპლინის მკაფიო წესები, მათ შორის გამოცხადების, დაგვიანებისა და არყოფნის რეგულირება, რაც კონტროლდება შინაგანაწესითა და ადმინისტრაციული ზედამხედველობით. ამასთან, გათვალისწინებულია როგორც მოქნილი კომუნიკაციის, ისე დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას - სკოლაში მოქმედი პრევენციული და ინტერვენციული მართვის სისტემა უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეთა კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას, ისე პერსონალის ეფექტიან და დისციპლინირებულ მართვას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სტაბილურობასა და ორგანიზაციულ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ბრეთის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის საქართველოს განათლების სფეროში არსებული ნორმატიული აქტების საფუძველზე, კერძოდ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების – „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ – შესაბამისად.

პროცედურები რეგულირდება შესაბამისი ბრძანებებითა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ სიზუსტესა და გამჭვირვალობას.

პედაგოგთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით, რაც ხელს უწყობს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას. პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ჩართული არიან შესაბამისი საგანმანათლებლო სტრუქტურების წარმომადგენლები, რაც დამატებით აძლიერებს შეფასების ხარისხს.

სკოლაში განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული პოზიციისთვის, რაც უზრუნველყოფს კადრების შესაბამისობას პროფესიულ სტანდარტებთან. ასევე დაცულია თანამშრომელთა პირადი საქმეების უსაფრთხოება და კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემები, რაც მიმართულია უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი სამუშაო გარემოს შექმნაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი ორგანიზებულია, გამჭვირვალე და სამართლებრივად გამართულია, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვას და დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხსა და სკოლის ეფექტიან მართვაზე. დასაქმებულთა პირად საქმეებში ინახება ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, ასევე უფლებამოსილების ჩამორთმევის ფაქტების შესახებ, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი სამუშაო გარემოს ფორმირებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ექსპერტთა მიერ პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების შესწავლით დადგინდა, რომ ბრეთის საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი სამართლებრივი ცნობები, რომლებიც ადასტურებს, რომ მათ არ აქვთ ნასამართლობა, არ არიან მსჯავრდებულნი საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე და არ აქვთ ჩამორთმეული შესაბამისი უფლებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ბრეთის საჯარო სკოლაში თანამშრომლობითი კულტურა უზრუნველყოფილია მართვითი და პროფესიული სტრუქტურების ეფექტიანი ფუნქციონირებით. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო და საგნობრივი კათედრები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა მიმართულების მასწავლებლებს.

აღნიშნული სტრუქტურები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაში, მათ შორის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებების განხილვასა და მოსწავლეთა საჭიროებებზე დაფუძნებული კურიკულუმის ადაპტირებაში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფები და კომისიები, რაც უზრუნველყოფს საკითხების მრავალმხრივ შეფასებასა და დაბალანსებულ გადაწყვეტილებებს. თანამშრომელთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც აძლიერებს მართვის ეფექტიანობას.

სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი, ჩართული და მხარდამჭერი სამუშაო გარემო, სადაც თანამშრომლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში. აღნიშნული მიდგომა დადებითად არის შეფასებული ექსპერტული ვიზიტის ფარგლებში და მიჩნეულია სკოლის ორგანიზაციული განვითარების ხელშემწყობ პრაქტიკად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

ბრეთის საჯარო სკოლაში შიდა რეგულაციები განსაზღვრავს თანამშრომელთა წახალისების სისტემასა და მისი გამოყენების წესებს. შინაგანაწესი არეგულირებს მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია პროფესიული მიღწევების აღიარებისა და მოტივაციის გაძლიერებისკენ. აღნიშნული მიდგომა მოიცავს როგორც მაღალი ხარისხით შესრულებული საქმიანობის დაფასებას, ისე განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანების წარმატებით განხორციელების, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობისა და საგანმანათლებლო შედეგების აღნიშვნას.

სკოლაში დამკვიდრებული წახალისების ფორმებია მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქარი და ერთჯერადი ფულადი პრემია. საჭიროების შემთხვევაში, წახალისების ერთ-ერთ ფორმად გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე მოხსნაც. თითოეული მექანიზმის გამოყენების წესი მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში წარმატებული პრაქტიკების გაზიარება სისტემურად მიმდინარეობს - კათედრების შეხვედრებსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებასა და ონლაინ პლატფორმებზე. ეს მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული გამოცდილების გავრცელებას და სასწავლო პროცესის უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშტატო განრიგი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;
- თანამშრომლეთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- eschool ბაზის მონაცემები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ბრეთის საჯარო სკოლაში მოქმედებს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის მექანიზმები. დანერგილია პედაგოგიური საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს წლიურ შეფასებებს, გაკვეთილებზე რეგულარულ დაკვირვებასა და უკუკავშირის გაცემას, ასევე თვითშეფასების ინსტრუმენტებს. დამატებით, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვები ხელს უწყობს პერსონალის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცესები განსაზღვრულია სკოლის პერსონალის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტებში და მიმართულია როგორც მონიტორინგზე, ისე პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე.

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობაზე დაფუძნებული პრაქტიკები - ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა, ურთიერთდაკვირვება და პროფესიული უკუკავშირის გაზიარება, რაც აძლიერებს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას. ამასთან, მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ტრენინგსა და განვითარების პროგრამებში.

ამავე დროს, ანალიზი აჩვენებს, რომ არსებული აქტივობები სრულად არ არის გაერთიანებული ერთიან, სისტემურ შეფასების ჩარჩოში და ნაკლებად ჩანს შედეგების დოკუმენტირება, მათი ანალიზი და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოყენება. შეფასება ძირითადად ფოკუსირებულია გაკვეთილზე დაკვირვებაზე და შედარებით ნაკლებად მოიცავს სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური პროგრესი და მასწავლებლის პროფესიული განვითარების გავლენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა - სკოლაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მყარი საფუძველი, თუმცა სასურველია არსებული პრაქტიკების ერთიან შეფასების სისტემაში ინტეგრირება, მრავალმხრივი ინდიკატორების გამოყენება და შედეგების მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზის გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მიზნობრივ განვითარებას და სკოლის საერთო ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ბრეთის საჯარო სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება ძირითადად ხორციელდება გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების გზით. მასწავლებლებს უტარდებათ სხვადასხვა ტრენინგები და ვორქშოფები, რომლებიც ორგანიზებულია როგორც შიდა რესურსების გამოყენებით, ისე გარე შესაძლებლობების ჩართულობით. ასევე, პედაგოგები ინდივიდუალურად გეგმავენ პროფესიული გამოცდილების გაზიარებასა და წარმატებული პრაქტიკის გაცნობას.

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი მიდგომები - აქტიურად მიმდინარეობს გამოცდილების გაზიარება და ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს პროფესიულ ზრდასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

რჩევა: სასურველია, რომ პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესი გახდეს უფრო სისტემური და დაიგეგმოს წინასწარ განსაზღვრული, საჭიროებებზე დაფუძნებული წლიური გეგმის ფარგლებში. აღნიშნული გეგმა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მიზნებს, აქტივობებსა და შეფასების ინდიკატორებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობასა და შედეგიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

გასაუბრებების შედეგად და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ ბრეთის საჯარო სკოლა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებში, ასევე ჩაატარონ ღია გაკვეთილები, რის საფუძველზეც იღებენ პროფესიულ უკუკავშირს. გამოცდილების გაზიარება სისტემატურად მიმდინარეობს კათედრების ფარგლებში, რაც აძლიერებს თანამშრომლობით სწავლებას.

აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებას, ისე სკოლის შიგნით ცოდნის გაზიარებასა და თანამშრომლობის გაძლიერებას. ამასთან, მსგავსი აქტივობები დადებითად აისახება მასწავლებელთა კარიერულ წინსვლაზე და ქმნის საფუძველს პროფესიული სტატუსის გაუმჯობესებისთვის. მიუხედავად არსებული პოზიტიური პრაქტიკისა, **სასურველია კარიერული განვითარების პროცესის უფრო მკაფიოდ დაგეგმვა და სისტემატიზაცია, რათა ის პირდაპირ იყოს დაკავშირებული თითოეული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნებთან და სკოლის საერთო სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ეფექტიან ინტეგრაციას სამუშაო გარემოში. ამ მიზნით დანერგილია ადაპტაციის პრაქტიკა, რომელიც მოიცავს მენტორობის ელემენტებს, გაცნობით შეხვედრებსა და პროცესის განმავლობაში რეგულარულ უკუკავშირს, რაც ახალ კადრებს ეხმარება სკოლის ორგანიზაციულ კულტურასა და სამუშაო პროცესში სწრაფად ჩართვაში.

სკოლაში არსებული მიდგომები ხელს უწყობს როგორც პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ისე ახალი თანამშრომლების წარმატებულ ინტეგრაციას, რაც დადებითად აისახება ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ბრეთის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო, რომლის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის როგორც სკოლის ხელმძღვანელობას, ისე მთლიან კოლექტივს. ეს გარემო ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციას, პროფესიულ აქტიურობასა და ინიციატივების გამოვლენას.

პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სასკოლო და პროფესიულ საქმიანობაში, ერთობლივად გეგმავს აქტივობებს და რეგულარულად უზიარებს ერთმანეთს გამოცდილებას. მსგავსი თანამშრომლობითი პრაქტიკა აძლიერებს გუნდურ მუშაობას და ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალურ, ისე საერთო პროფესიულ განვითარებას. ამასთან, იკვეთება, რომ ინიციატივების მხარდაჭერა ძირითადად ემყარება პოზიტიურ ურთიერთობებსა და არაფორმალურ თანამშრომლობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მასწავლებელთა საჭიროების მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დოკუმენტი;
- სსიპ სოფელ ბრთის საჯარო სკოლის1 წლიანი სამოწმედო გეგმა;
- მადლობის ბრძანება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრის ოქმები;
- კათედრების სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

ბრეთის საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება დაგეგმვა - განხორციელება - შეფასება - გაუმჯობესების (PDCA) ციკლს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მართვის პროცესის თანმიმდევრულობას და მიზნობრივობას, რაც საშუალებას აძლევს სკოლას სისტემურად დაგეგმოს საქმიანობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები, შეაფასოს მიღწეული შედეგები და მათზე დაყრდნობით დაგეგმოს შემდგომი გაუმჯობესება.

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა შედეგების ანალიზს და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენას. მიღებული მონაცემები გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ისე მართვითი გადაწყვეტილებების მიღების დროს, რაც აძლიერებს პროცესის ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ბრეთის საჯარო სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა უზრუნველყოფს პროცესების კოლეგიალურობასა და მრავალმხრივ ხედვას.

სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები განსაზღვრულია და ასახულია სხვადასხვა შიდა დოკუმენტში. შინაგანაწესი არეგულირებს ადმინისტრაციული მართვის ძირითად საკითხებს, მათ შორის ფუნქციებს, პასუხისმგებლობებსა და ანგარიშვალდებულებას. დამატებით, ცალკეული მიმართულებები - როგორიცაა საკადრო მართვა, დისციპლინური პროცედურები და შრომითი ურთიერთობები - მოწესრიგებულია შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებითა და ხელშეკრულებებით. საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი ასპექტები აღწერილია როგორც შინაგანაწესში, ისე შესაბამის სასწავლო დოკუმენტებში, ხოლო საქმისწარმოება მიმდინარეობს დადგენილი წესების შესაბამისად.

მართალია სკოლაში ძირითადი პროცესები განსაზღვრული და ფუნქციონირებადია, **თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია, რომ მათი უფრო მეტად სისტემატიზაცია და ერთიან ჩარჩოში თავმოყრა ხელს შეუწყობს მართვის კიდევ უფრო ეფექტიანობას.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

ბრეთის საჯარო სკოლაში განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცესი რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულობასა და ხელმისაწვდომობას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროცედურა განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის წარდგენის წესებსა და ვადებს, რაც წინასწარ ცნობილს ხდის პროცესის მიმდინარეობას ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საჩივრების განხილვა ხორციელდება უფლებამოსილი სტრუქტურების მიერ. დისციპლინურ საკითხებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში, რაც ქმნის მრავალსაფეხურიან და დაბალანსებულ განხილვის მექანიზმს. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესს, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია და უზრუნველყოფილია საკითხის დამოუკიდებელი განხილვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

ბრეთის საჯარო სკოლაში დანერგილია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც პერსონალის, ისე მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვას და მათთან ეფექტიან თანამშრომლობას. შიდა პოლიტიკა და პროცედურები ორიენტირებულია დისკრიმინაციის, შევიწროებისა და სხვა უფლებადარღვევების პრევენციაზე, რაც ქმნის უსაფრთხო და სამართლიან სასკოლო გარემოს.

ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს შესაბამის საკითხებს და იცავს თანამშრომელთა უფლებებს დადგენილი წესების ფარგლებში. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს კონკურსის შედეგების გასაჩივრების მექანიზმს - საჭიროების შემთხვევაში დირექტორის გადაწყვეტილებით იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საკითხის დამოუკიდებელ და ობიექტურ განხილვას, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას.

მშობლებთან თანამშრომლობა რეგულირდება ხელშეკრულებებით, რომლებიც განსაზღვრავს ურთიერთპასუხისმგებლობასა და ჩართულობის ფორმებს. მშობლების მონაწილეობა ხორციელდება შეხვედრების, ინდივიდუალური კონსულტაციების, საინფორმაციო ღონისძიებებისა და სკოლის აქტივობებში ჩართულობის გზით, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას პარალელურად, სკოლაში პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რაც ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და თანამშრომლობითი გარემოს გაძლიერებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს როგორც უფლებების დაცვის ეფექტიან სისტემას, ისე მშობლებთან აქტიურ და სტრუქტურირებულ თანამშრომლობას, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ხარისხისა და პროფესიული განვითარების დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

ბრეთის საჯარო სკოლაში მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება სასკოლო საზოგადოებისთვის ხორციელდება როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ და ხელმისაწვდომ გავრცელებას.

სკოლას აქვს სოციალური მედიის გვერდი, სადაც რეგულარულად ქვეყნდება მნიშვნელოვანი სიახლეები და მიმდინარე ინფორმაცია. ასევე გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, რომლის მეშვეობითაც მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს აქვთ წვდომა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, დასწრებასა და სკოლის აქტივობებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

ინფორმაციის გაზიარებასთან ერთად, სკოლაში მოქმედებს რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების პრაქტიკა მშობლებთან, მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან, სადაც განიხილება მიმდინარე საკითხები და სამომავლო გეგმები. პარალელურად, დანერგილია უკუკავშირის მიღების სხვადასხვა ფორმა - მათ შორის გამოკითხვები, ფოკუს-ჯგუფები, ინდივიდუალური შეხვედრები და წინადადებების ყუთი.

მიღებული უკუკავშირი მუშავდება ადმინისტრაციის მიერ და გამოიყენება მართვითი გადაწყვეტილებების დაგეგმვისას. გამოკითხვების შედეგების ნაწილი და მათზე რეაგირების მიმართულებები საჯაროდაც ხელმისაწვდომია, რაც პროცესის გამჭვირვალობას აძლიერებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

ბრეთის საჯარო სკოლაში სკოლაში ჩამოყალიბებულია ჩართულობაზე დაფუძნებული მართვის კულტურა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებასა და სკოლის განვითარების პროცესში.

სკოლაში მოქმედებს კოლეგიალური ორგანოები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში. მათი ჩართულობა ვლინდება როგორც სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში, ისე საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და შეფასებაში.

სასკოლო ცხოვრება ასევე გამდიდრებულია სხვადასხვა სახის აქტივობებით - საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებებით, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას და თანამშრომლობითი გარემოს გაძლიერებას. სკოლა უზრუნველყოფს მშობლების ჩართულობასაც, მათ შორის სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივებში, ექსკურსიებისა და კარიერული დღეების ორგანიზებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- გასაუბრების სედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით და ასევე დირექტორის ბრძანებით (N2-29, 18.09.2025) დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში დასაქმებულია 2 დარაჯი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდეგ პერიოდში აკონტროლებს გარეშე პირთა გადაადგილებას. სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, 6 ერთეული ცეცხლმაქრი. სკოლას აქვს 1 ავარიული გასასვლელი. და სახანძრო უსაფრთხოების კიბე. უსაფრთხოების დამატებითი უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, თუმცა წარმოადგინა წერილი (23/12/2025), რომლითაც მიმართა შესაბამის უფლებამოსილ უწყებას - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო - მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის მიხედვითაც სკოლის შენობის მდგომარეობა შეფასებულია როგორც არადამაკმაყოფილებელი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შენობას აღენიშნება ცვეთა და სხვადასხვა სახის დაზიანება, თუმცა მოცემულ ეტაპზე მისი მდგრადობისთვის საფრთხის შემცვლელი არ არის. ამასთანავე, ხაზგასმულია, რომ მდგომარეობის გაუარესების პრევენციის მიზნით აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ - კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება, მათ შორის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგება, ასევე შიდა და გარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

ამასთან, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი შენობა, რომელიც შემოსაზღვრულია დამცავი ბადით. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული ნაგებობა, უეცარი ნგრევის შესაძლო რისკიდან გამომდინარე, წარმოადგენს ადამიანებისთვის საფრთხის შემცველ ობიექტს და საჭიროებს გადაუდებელ დემონტაჟს.

დემონტაჟთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა მიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, რომელმაც საკითხი გადაამისამართა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიაში. სააგენტოს 2026 წლის 20 თებერვლის წერილის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ნებართვას გასცემს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, სააგენტოს თანხმობით.სკოლის დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს ექსპერტიზის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების ეტაპობრივი შესრულება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს შენობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და შემდგომში განახლებული, დადებითი დასკვნის მიღებას, რაც მათ მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, გაწერილია 2027 წლის 12 დეკემბრამდე.

სკოლამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, - თუმცა წარმოადგინა მიწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან და სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით საკითხის მოგვარება **განსაზღვრა 2 წლის ვადაში - 2025 წლის 23 დეკემბრიდან -2027 წლის 23 დეკემბრამდე (ნაწილობრივ შესაბამისი).**

სსიპ სოფელ ბრეთის საჯარო სკოლა არ აქვს ვიდეოკამერები - რასთან დაკავშირებითაც სკოლამ წერილობით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და ქალაქ ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას. საპასუხო წერილში, რომელიც სამინისტრომ გადმოუგზავნა რესურსცენტრს, ვკითხულიბთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების განთავსება/დამონტაჟება გათვალისწინებულია სამუშაოების ეტაპობრივი განხორციელების ფარგლებში და რომ აღნიშნული მიმართულება შედის სამომავლო ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების გეგმაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ **სკოლა ამ საკითხის მოგვარებას 2028 წლის 8 იანვრამდე გეგმავს.**

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- უზრუნველყოს შენობის - კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგება, შიდა და გარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობის დემონტაჟი და სრულად დადებითი დასკვნის მოპოვება, **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2027 წლის 23 დეკემბრამდე.**
- უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება, რომელიც სტანდარტებთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია 2 წლის ვადაში - **2025 წლის 23 დეკემბრიდან -2027 წლის 23 დეკემბრამდე (ნაწილობრივ შესაბამისი).**
- უზრუნველყოს ვიდეოკამერების დამონტაჟება - შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2028 წლის 8 იანვრამდე (ნაწილობრივ შესაბამისი).

სკოლის ინფრასტრუქტურულ გარემოსთან დაკავშირებით, ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა მნიშვნელოვანი უსაფრთხოების რისკები - სკოლის ეზო არ არის სრულად შემოსაზღვრული, არსებული ღობე დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. ამასთანავე, ეზოს მიმდებარედ ჩამოდის მდინარე, რომელიც არ არის შემოსაზღვრული ან შესაბამისი დამცავი ბარიერებით უზრუნველყოფილი, რაც ზრდის მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს.

დამატებით, სკოლის ეზოში, რომელიც ასევე ღია სპორტულ მოედნად გამოიყენება, დაფიქსირდა დაზიანებული საფარი (ძველი, ნაწილობრივ დაშლილი ცემენტის ზედაპირი), რაც მოსწავლეთათვის ტრავმირების საფრთხეს ქმნის და საჭიროებს შესაბამის სარეაბილიტაციო ღონისძიებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

ამასთან, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც არსებული ხარვეზების ეტაპობრივი აღმოფხვრა და უსაფრთხოების მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება უკვე დაგეგმილია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ დამატებით გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- სკოლამ შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სკოლის ეზოს სრული და უსაფრთხო შემოსაზღვრა, დაზიანებული ღობის რეაბილიტაცია - სტანდარტებთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით **განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის სექტემბერი (მეტწილ შესაბამისი).**
- უზრუნველყოს სკოლის მიმდებარედ არსებულ მდინარესთან დამატებითი დამცავი ბარიერებით აღჭურვა. ასევე, მნიშვნელოვანია უსაფრთხოების რისკების პერიოდული შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, რათა სასკოლო გარემო იყოს მეტად დაცული,

უსაფრთხო და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული - სტანდარტებთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით **განსაზღვრულ ვადაში - 2027 წლის მაისი (მეტწილ შესაბამისი).**

- სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ეზოს/ღია სპორტული მოედნის დაზიანებული საფარის ეტაპობრივი რეაბილიტაცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო - სტანდარტებთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით **განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის სექტემბერი (მეტწილ შესაბამისი).**

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ავყანასთან დაკავშირებით მიეცა **რჩევა** - სასურველია, სკოლამ აიყვანოს ან აუთსორსინგის გზით უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რადგან ეს ხელს შეუწყობს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას, რისკების პრევენციასა და ეფექტიან მართვას, ასევე შესაბამისი ნორმებისა და რეგულაციების დაცვას

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის სამედიცინო ოთახი აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტებითა და ინვენტარით, რაც ქმნის შესაბამის პირობებს ოპერატიული რეაგირებისთვის. ამასთან, სკოლის პერსონალის ნაწილი გადამზადებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, რაც დამატებით ზრდის უსაფრთხოებისა და მზადყოფნის დონეს საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სკოლაში ორგანიზებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ეფექტური სისტემა. სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლეთა და პერსონალისათვის პირველადი დახმარების დროულ და სათანადო მიწოდებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში დანერგილია უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის ორგანიზებული და მრავალმხრივი მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი და მოქმედებს მორიგეობის სისტემა, რაც უზრუნველყოფს ყოველდღიური პროცესების კონტროლსა და ოპერატიულ რეაგირებას. ასევე ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ხელს უწყობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებულ მართვას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს როგორც სკოლის შინაგანაწესით, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით. დამატებით, სკოლა მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით განსაზღვრული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა - ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქცია. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი.

შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საგანგებო და შესაბამისი უწყებების, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირების შესაძლებლობას. ამასთან, მოსწავლეები სისტემურად იღებენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ კლასის ხელმძღვანელების მიერ ჩატარებულ კლასის საათებზე.

საერთო ჯამში, აღნიშნული მიდგომები მიუთითებს, რომ სკოლაში წესრიგის დაცვა ხორციელდება სისტემურად, წინასწარ განსაზღვრული წესებისა და პრაქტიკული მექანიზმების ერთობლიობით, რაც ქმნის დაცულ და ორგანიზებულ სასწავლო გარემოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის ადმინისტრაციის, მშობლების, მოსწავლეებისა და პედაგოგების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში შექმნილია ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასწავლო გარემო. აღნიშნული გარემო გამოიხატება ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობებში, მხარდაჭერისა და ნდობის ატმოსფეროში, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და თავი იგრძნოს დაცულად. აღნისნული ჩვენთან გასაუბრების დროს ნათლად გამოჩნდა.

დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას როგორც მათი უფლებების, ისე პასუხისმგებლობების შესახებ, რაც ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და ქცევის რეგულირების უნარების განვითარებას.

საერთო ჯამში, სკოლაში დანერგილი მიდგომები უზრუნველყოფს არა მხოლოდ უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, არამედ მოსწავლეთა ემოციური კეთილდღეობისა და სოციალური უნარების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეფექტიანი სასწავლო პროცესისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური პროცედურებით. ამ მიზნით შემუშავებულია სსიპ სოფელ ბრეთის საჯარო სკოლის სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის დებულება. სასწავლო ოთახები და საერთო სივრცეები სისტემატურად იწმინდება და ნიავდება, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას. სკოლის სანიტარული კვანძები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით და პერიოდულად მოწმდება მათი მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა საჭიროებს რეაბილიტაციას, არსებული რესურსების პირობებში უზრუნველყოფილია სისუფთავისა და ჰიგიენური წესრიგის სათანადო დონე, რაც დადებითად აისახება სასწავლო გარემოს ხარისხზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2025 წლის 18 დეკემბრის N 2-53 ბრძანებით დამტკიცებული აქვს -სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქცია უზრუნველყოფილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მეშვეობით. კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების შესრულება დაკისრებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელს, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრისთვის განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას. აღნიშნული დასტურდება შიდა ქართლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2026 წლის 24 მარტის ბრძანებით MES 9 25 0000325304.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული წესებისა და კონტროლის მექანიზმების საფუძველზე. კომპიუტერული რესურსების გამოყენება რეგულირდება უსაფრთხოების სტანდარტებით, ხოლო ინტერნეტთან კავშირი უზრუნველყოფილია მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მეშვეობით. გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა არის ლიცენზირებული, რაც ამცირებს როგორც ტექნიკურ, ისე ინფორმაციულ რისკებს. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა წვდომის კონტროლს - მოვალეობები და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვთ მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებს, რაც განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილია არაერთი მექანიზმი, რომელთა მუშაობასაც დირექცია პერიოდულად აკვირდება და აფასებს. ადამიანური რესურსის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია შესაბამის პირებზე — სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ორი დარაჯი, ხოლო დამატებით მოქმედებს მორიგეობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო სივრცის მუდმივ ზედამხედველობას და წესრიგის დაცვას.

სკოლის მრჩეველთა საბჭო ჩართულია უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებისა და კოორდინაციის პროცესში. მასში წარმოდგენილია როგორც ადმინისტრაციული, ისე პედაგოგიური რგოლები, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას და პასუხისმგებლობის გაზიარებას.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სკოლაში უსაფრთხოების შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი, რაც მიუთითებს ამ მიმართულებით სისტემატიზაციის საჭიროებაზე. შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა - სასურველია უსაფრთხოების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის დანერგვა და ინციდენტების რეგისტრაციისა და ანალიზის სტანდარტიზებული მექანიზმის შემუშავება. აღნიშნული ნაბიჯები გააძლიერებს პრევენციულ მიდგომებს, უზრუნველყოფს პროცესების მეტ გამჭვირვალობას და კიდევ უფრო გააუმჯობესებს უსაფრთხოების მართვის სისტემის ეფექტიანობას.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- პედსაბჭოს ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- მიწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან - საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებით;
- 'სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

- მიწერილობა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- რეფერირების დოკუმენტაცია;
- წერილები რესურსცენტრს და საქართველოს განათლათების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;
- საშტატო განრიგი;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ხელშეკრულება;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ექსპერტთა მიერ განხორციელებული გადამოწმების ფარგლებში შესწავლილ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერი და ადგილზე დათვალიერდა სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობა. დადგინდა, რომ სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლა განთავსებულია ორსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 977.42 კვ.მ-ს. 2025 წლის მონაცემებით, სკოლაში ირიცხება 106 მოსწავლე, ხოლო სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთცვლიან რეჟიმში, რაც ქმნის ორგანიზებული და ნაკლებად დატვირთული სასკოლო დღის პირობებს.

ფაქტობრივი მონაცემებით, სკოლას გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო და მხარდამჭერი სივრცეები, მათ შორის: კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და მოედანი, სამედიცინო კაბინეტი, დარაჯის ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, 12 საკლასო ოთახი და სველი წერტილები. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კააბინეეტი, თუმცა მისი მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 2027 წლის 23 დეკემბრამდე.

შესაბამისად სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო კაბინეტის მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლის, მასწავლებლისა და პერსონალისთვის. ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და სპორტული დარბაზი ფუნქციონირებს წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების ორგანიზებულობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას. ამასთან, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ აღნიშნული რესურსებით არა მხოლოდ სასწავლო პროცესის განმავლობაში, არამედ მის შემდეგაც, სხვადასხვა საგანმანათლებლო და არაფორმალური აქტივობებისთვის.

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ასევე მოსწავლეთა სახელმძღვანელოებს, რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის მხარდაჭერას, ისე მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილებას.

სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი და მოქმედებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული ფონდის გამოყენების პირობები. აღნიშნული წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინფორმირებულობას.

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

არსებული ვითარების შესწავლით დასტურდება, რომ სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას აქვს რესურსოთახი და ადაპტირებული სველი წერტილები, **თუმცა, სკოლაში არ არის მოწყობილი პანდუსები, რის გამოც შენობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც პანდუსების დამონტაჟება დაგეგმილია 2027 წლის 27 დეკემბრისთვის.**

ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მრავალფეროვანი სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. სკოლაში არსებული სივრცეები - დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, ეზო, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა - ქმნის ხელსაყრელ გარემოს როგორც სასწავლო, ისე არაფორმალური აქტივობებისთვის.

აღნიშნული რესურსები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას გაკვეთილების დასრულების შემდეგაც დარჩნენ სკოლაში, შეიკრიბონ და დამოუკიდებლად ან მასწავლებლების მხარდაჭერით დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა ინიციატივა საერთო ჯამში, სკოლის სივრცითი და მატერიალური გარემო ეფექტიანად უწყობს ხელს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და მრა ვალმხრივ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არსებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის წარმართვას. დაწესებულება ფლობს სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 10 კომპიუტერითა და 1 პროექტორით. დამატებით გამოიყენება 2 პროექტორი, 3 პრინტერი, 3 ლეპტოპი და 1 პერსონალური კომპიუტერი.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო პროცესების ეფექტიან მხარდაჭერას უზრუნველყოფს სხვადასხვა ციფრული პლატფორმა, მათ შორის Microsoft Teams, ელექტრონული ჟურნალი და სკოლის Facebook გვერდი, რაც ხელს უწყობს როგორც შიდა კომუნიკაციას, ისე სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობასა და ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პერსონალისთვის, სკოლის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებაში მოქმედებს მკაფიოდ ჩამოყალიბებული რეგულაციები ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ (მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი), რაც უზრუნველყოფს რესურსების სამართლიან განაწილებას, ასევე მათ უსაფრთხო და ეფექტიან გამოყენებას.

მოსწავლეებს აქვთ წვდომა კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე როგორც საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში, ისე გაკვეთილების შემდეგაც, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკისა და პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობის პირობებში, რაც ხელს უწყობს მათი ციფრული უნარების განვითარებას და დამოუკიდებელი მუშაობის წახალისებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები);
- კომიუტერული ლაბორატორიის მოხმარების წესი;
- კომიუტერული ლაბორატორიის მოხმარების განრიგი;
- ინვენტარიზაციის ოქმი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

ბრეთის საჯარო სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და სრულ შესაბამისობაშია „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ მოთხოვნებთან. საქმისწარმოების პროცესში დაცულია დოკუმენტების შედგენის, გაფორმების, რეგისტრაციის, დამუშავების, შენახვისა და არქივირების დადგენილი სტანდარტები, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის გამართულობას, ინფორმაციის უსაფრთხოებასა და მის დროულ ხელმისაწვდომობას. დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და იგი პასუხისმგებელია საქმისწარმოების პროცესის გამართულ ფუნქციონირებაზე, სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციაზე, ასევე მოსწავლეებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სათანადო განხორციელებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვის პროცესში გამოიყენება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანობასა და გამჭვირვალობას. დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ელექტრონული სისტემის - Eflow - მეშვეობით, რაც ამარტივებს დოკუმენტების მართვასა და კონტროლს.

მოსწავლეებისა და თანამშრომლების შესახებ დეტალური ინფორმაცია აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eSchool, სადაც ასევე ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესების აღრიცხვა.

სასასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელებისთვის სკოლა დამატებით იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ოფიციალურ ვებგვერდს, Microsoft Teams პლატფორმას და სოციალური ქსელის გვერდს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ, მრავალარხიან და ხელმისაწვდომ მიწოდებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ბრეთის საჯარო სკოლას აქვს შევსებული და რეგულარულად განახლებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eSchool. სისტემაში შეყვანილია სკოლის ყველა მოსწავლის, მასწავლებლისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაცემები.

დროულად აისახება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის მოსწავლეთა შეფასებები, გაცდენები, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობა და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები. სისტემაში არსებული ინფორმაცია რეგულარულად მოწმდება და განახლებებისთანავე აისახება, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ეფექტიან მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ბრეთის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი უწყებებისათვის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რესურსცენტრი) მოთხოვნილი ანგარიშებისა და ინფორმაციის დროულ და სრულყოფილ მიწოდებას.

სკოლა აქტიურად მონაწილეობს საინფორმაციო შეხვედრებში და თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ კოორდინაციასა და საქმიანობის გამჭვირვალობას.

ამასთან, სკოლის ადმინისტრაცია კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა ანგარიშგების პროცესში მონაწილეობს და მკაცრად იცავს დადგენილ ვადებს, ასევე ითვალისწინებს მიღებულ რეკომენდაციებს, რაც ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის მუდმივ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, საზოგადოების ინფორმირებულობისთვის სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ, სკოლა იყენებს საინფორმაციო დაფას, ასევე ელექტრონულ პლატფორმებს, მათ შორის: სკოლის ვებ-გვერდს, Facebook გვერდსა და ელექტრონულ ფოსტას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სხვადასხვა არხით (ვებგვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედია), რაც ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობასა და ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გადამოწმებით დასტურდება მისი სანდოობა და სიზუსტე. ამ მიზნით სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის კონტროლს და მის შესაბამისობას რეალურ მონაცემებთან.

შესაბამისად, სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ყველა ინფორმაცია არის შეთანხმებული, შეჯერებული და ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, გამჭვირვალობასა და ერთიან საკომუნიკაციო პოლიტიკას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირი აქტიურად გამოიყენება სკოლის საქმიანობის შეფასებისა და ანალიზისათვის.

აღნიშნული მიდგომა საშუალებას აძლევს სკოლას გამოავლინოს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და დაგეგმოს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საქმიანობის ხარისხის ამაღლებას და უფრო ეფექტიან მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებგვერდზე https://skolebi.emis.ge/, ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასზე განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესხებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, პროგრამები, შინაგანაწესი, ჩარიცხვის წესი, საჩივრისა და გხილვის წესი, კანონიერი უფლებების დაცვის წესი, ადაპტაციის წესი, **2026 წლის საბიუჯეტო განაცხადი - საჯარო სკოლები (2).xlsx,** უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი. იგეგმაბა სამოქმედო გეგმის ანგარიშის ატვირთვა წლის ბოლოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი;
- ელექტრონულ ფოსტა;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს საკუთარი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები რეალისტურადაა თანხვედრილი სკოლის ფინანსურ შესაძლებლობებთან, რაც მიუთითებს გეგმირებისა და რესურსების მართვის თანმიმდევრულობაზე.

სკოლას შემუშავებული აქვს შესყიდვების გეგმა, ხოლო ბიუჯეტში დეტალურად არის გაწერილი ძირითადი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ანაზღაურება, კომუნალური გადასახადები და სხვა აუცილებელი დანახარჯები.

ფინანსური პროცესების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია სამეურვეო საბჭოს ჩართულობით — ბიუჯეტის დამტკიცება და ფინანსური ანგარიშის განხილვა ასახულია შესაბამის ოქმებში, რაც ადასტურებს ფინანსური მართვის სისტემურ და ორგანიზებულ განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებელია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ფინანსური რესურსების მართვა ხორციელდება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს რეგულარულად წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვისა და მონიტორინგის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების ზედამხედველობასა და კონტროლს.

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, ხოლო გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე განიხილება და წარედგინება საბჭოს, რაც ადასტურებს ფინანსური მართვის ციკლურობასა და სისტემურობას. აღნიშნული პროცედურები ასახულია სამეურვეო საბჭოს ოქმებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებელია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები
- შესყიდვების წესი
- შესყიდვის უფლებამოსილის პირის შესახებ ანგარიშფაქტურა
- მიღება-ჩაბარება
- ზედნადები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოქმედებს შიდა ნორმატიული დოკუმენტების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს შინაგანაწესს, ქცევის წესებს, შეფასების პოლიტიკას, საჩივრისა და განცხადების წარდგენის პროცედურებს და სხვა მარეგულირებელ აქტებს. აღნიშნული დოკუმენტები მკაფიოდ განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე მათი დაცვის ეფექტიან მექანიზმებს. სკოლის შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, სამართლიან, უსაფრთხო და მხარდამჭერ სასწავლო გარემოში. დადგენილია საჩივრის წარდგენის ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე პროცედურა, რომლის ფარგლებში მოსწავლის განცხადება განიხილება განსაზღვრულ ვადებში და შესაბამისი რეაგირება ხდება დროულად. ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული, თანმიმდევრული და არადისკრიმინაციული მიდგომები. ყურადღება ეთმობა სსსმ მოსწავლეთა უფლებების დაცვასა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას. სკოლაში ფუნქციონირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) გუნდი, რომელიც მუშაობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ადაპტირებული სასწავლო გეგმების შემუშავებაზე. თითოეულ სსსმ მოსწავლეს ეძლევა მისი საჭიროებების შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება.

სასწავლო წლის დასაწყისში მტკიცდება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ისგ გუნდის საქმიანობა. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია მრავალფეროვანი სასწავლო მასალებითა და თვალსაჩინოებებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და განვითარებას. სკოლის ფიზიკური გარემო ნაწილობრივ ითვალისწინებს მოსწავლეთა ხელმისაწვდომობის საჭიროებებს, თუმცა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე საერთო სარგებლობის სივრცეებზე წვდომა ყველა მოსწავლისთვის სრულად უზრუნველყოფილი არ არის, მათ შორის ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის. სკოლა აცნობიერებს აღნიშნულ საჭიროებას და გეგმავს შესაბამისი ინფრასტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას, რათა გარემო გახდეს უფრო ინკლუზიური და ხელმისაწვდომი. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისას (მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან) სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში მათი უფლებები დაცულია, ხოლო არსებული რეგულაციები ეფექტიანად მუშაობს პრაქტიკაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შიდა რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის და გაზიარებულია შესაბამისი არხებით (დოკუმენტების გაცნობა, შეხვედრები, ინფორმირება-სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი, სკოლის ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge განთავსება). მოსწავლეები, მშობლები და პერსონალი ინფორმირებულნი არიან მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე და ნდობაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას. აღნიშნული უზრუნველყოფს რეგულაციების ერთიან გაგებასა და ეფექტურ განხორციელებას. ჩარიცხვისას მშობლებს ეცნობათ შინაგანაწესი და ქცევის წესები; ასევე, ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე და გაზიარებულია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისას ფორმდება ხელშეკრულება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. ხელშეკრულება არის გამჭვირვალე, გასაგები და ხელმისაწვდომი, ხელშეკრულებაში დეტალურადაა აღწერილი სწავლების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და კომუნიკაციის ფორმები, ხელშეკრულებაში გაწერილია ინფორმაცია მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაციის გამოყენების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- უსაფრთხოების წესები და მექანიზმები
- დისციპლინარული წარმოების წესები
- მოსწავლეთა ქცევის წესები
- საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- ბიბლიოთეკის წესები
- კანონიერი უფლებების დაცვა
- რემედიაცია
- ისგ
- სკოლის ვებ-გვერდი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მკაფიო და კანონმდებლობასთან შესაბამისი პროცედურები. აღნიშნული საკითხები რეგულირდება შიდა ნორმატიული დოკუმენტით, რომელიც დეტალურად აღწერს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და შემდგომი ეტაპების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს.

მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების, საჭირო დოკუმენტაციის წარდგენისა და დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. მობილობის პროცესიც ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად, საჭირო დოკუმენტაციის სრული პაკეტის წარმოდგენით და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. შიდა დოკუმენტში

ასევე გაწერილია უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის მექანიზმები, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის წესები, ასევე კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები.
სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას. კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებებზე სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას გაცდენების მართვის, ექსტერნის გამოცდების, მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული საკითხებისა და სხვა მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ. მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის შესახებ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმაციას იღებენ მრავალარხიანი კომუნიკაციის გზით, მათ შორის: მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრებისას, სატელეფონო კომუნიკაციითა და ელექტრონული/სოციალური პლატფორმების საშუალებით. სკოლა უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი მექანიზმის დაცვას და პროცესების სტანდარტიზებულად, თანმიმდევრულად განხორციელებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს სკოლა პრაქტიკაში უზრუნველყოფს განსაზღვრული წესების დაცვას და ყველა პროცესი ხორციელდება დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. გადაწყვეტილებები მიიღება ობიექტურ და დოკუმენტურად გამყარებულ საფუძველზე. მოსწავლის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება შესაბამისი საფუძვლის არსებობისას (განცხადება, გაცდენები და სხვა) და ფორმდება დირექტორის ბრძანებით; საფეხურის დაძლევა ეფუძნება შეფასების შედეგებსა და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ძირითად საგანმანათლებლო პროგრამას, მეხუთე კლასიდან მეორე უცხოური ენის არჩევის შესაძლებლობას, ასევე მაღალ საფეხურზე არჩევითი საგნების არჩევანს. საჯაროდ ხელმისაწვდომია ინფორმაცია სკოლის შიდა პოლიტიკის შესახებ, მათ შორის შინაგანაწესი, ქცევის წესები და მოსწავლეთათვის განსაზღვრული მოლოდინები, რაც ხელს უწყობს ერთიანი და მკაფიო წესების დამკვიდრებას სასკოლო გარემოში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება კანონმდებლობას და ეფუძნება გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპებს. კომუნიკაცია არის რეგულარული და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს წინასწარ აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესთან, აქტივობებთან ან ცვლილებებთან დაკავშირებით (შეტყობინებები, შეხვედრები), რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულობას და პროცესებში ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- შინაგანაწესი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-55), რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. დოკუმენტში განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის ძირითადი პრინციპები, ხელშემწყობი ფაქტორები და შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება როგორც შიდა რეგულაციებს, ისე პრაქტიკულ მიდგომებს. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პედაგოგიურ მხარდაჭერას. პირველკლასელებისა და სკოლაში ახლად ჩარიცხული მოსწავლეებისთვის გათვალისწინებულია გაცნობითი/საორიენტაციო პერიოდი, კლასის დამრიგებლის აქტიური ჩართულობა და ინდივიდუალური მიდგომა, რაც ხელს უწყობს მათ სასწავლო გარემოსთან ეფექტურ ინტეგრაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყებისთანავე უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას, რაც გამოიხატება ინფორმაციის სისტემატურ მიწოდებაში, გარემოს გაცნობასა და უწყვეტ კომუნიკაციაში. სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მოსწავლეებსა და მშობლებს ეცნობათ სკოლის შინაგანაწესი, ქცევის წესები და სასწავლო პროცესის ორგანიზება, რაც ამცირებს ადაპტაციასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სისტემურ მხარდაჭერასა და კონსულტირებას აკადემიური შედეგების გაუმჯობესების მიზნით. დანერგილი ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია მიმდინარე აკადემიური მიღწევების შესახებ. ამასთან, კომუნიკაცია ხორციელდება დამატებით არხებზეც — პირისპირ შეხვედრებისა და სატელეფონო ურთიერთობის ფორმით, რაც აძლიერებს უკუკავშირის ეფექტიანობას.

სემესტრის დასაწყისში სკოლა წინასწარ აცნობს მოსწავლეებსა და მშობლებს საგნობრივი გამოცდების ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო დამრიგებლები უზრუნველყოფენ ინფორმაციის გავრცელებას ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების შესახებ. სკოლაში მოქმედი პრაქტიკის მიხედვით, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, სემესტრული შეფასების გაუმჯობესების მიზნით ისარგებლონ სემესტრული გამოცდის მექანიზმით, რაც დამატებით მოტივაციას ქმნის მათი აკადემიური პროგრესისთვის.

სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განმავითარებელ შეფასებაზე, რომელიც მოსწავლეს აწვდის დეტალურ უკუკავშირს, ეხმარება საკუთარი სწავლის პროცესის გააზრებაში და უზრუნველყოფს შემდგომი განვითარების სწორ დაგეგმვას.

სკოლაში შემუშავებულია რემედიაციის გეგმა, რომლის ფარგლებში ხორციელდება მიზნობრივი აქტივობები მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით განსაზღვრული ვადებისა და პროცედურების დაცვით. მოსწავლის სტატუსთან, მობილობასთან ან სხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული მოთხოვნები განიხილება დადგენილ ვადებში და ფორმდება შესაბამისი დოკუმენტაციით (ბრძანებები, ჩანაწერები). სკოლის დირექცია და კლასის დამრიგებლები დადგენილ ვადებში აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს თითოეულ საგანში გაცდენების ზღვრული რაოდენობის, სემესტრული, საშემოდგომო თუ ექსტერნის გამოცდების თარიღების შესახებ. მოსწავლეთა მობილობის ვადების შეზღუდვის შესახებ და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობას არაფორმალურ და დამატებით საგანმანათლებლო აქტივობებში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათი მრავალმხრივი განვითარების პროცესს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტში, კონკურსსა და ინიციატივაში, რომლებიც მხარდაჭერილია პედაგოგიური პერსონალის მიერ.

კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის მიმართულებით, ხელოვნების ფარგლებში განხორციელდა პროექტი — „კოკის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი“. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა განივითარეს კვლევითი, შემოქმედებითი და საპრეზენტაციო უნარები, მათ შორის:

- კულტურული ძეგლის მრავალმხრივი კვლევა;
- ვიზუალური მასალის შექმნა (ჩანახატები, ფოტო და ვიდეოგადაღება);
- შესაბამისი ლიტერატურის მოძიება და დამუშავება;
- საინფორმაციო ფლაერის შექმნა ძეგლის პოპულარიზაციის მიზნით;
- საკუთარი ნამუშევრის აუდიტორიის წინაშე წარდგენა.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საგნობრივ კონკურსებშიც. 2025 წლის 25 მაისს ქ. გორის უნივერსიტეტში ჩატარებულ ინგლისური ენის ესეების კონკურსში თემაზე „26 მაისი“ ბრეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს და დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.

ასევე, 2025 წლის იანვარში მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალურ კონკურსში „ყველაზე წიგნიერი“ . კონკურსი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს განსაზღვრულ ვადებში სხვადასხვა რაოდენობის წიგნის წაკითხვა და შესაბამის კითხვებზე პასუხის გაცემა უწევდათ. მოსწავლეებმა წარმატებით გაიარეს სამივე ტური და ფინალურ ეტაპზე მაღალი შედეგები აჩვენეს, რის შედეგადაც დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.

სკოლაში ასევე წახალისებულია წიგნიერების განვითარება. აპრილი საქართველოში გამოცხადებულია წიგნის ჩუქების თვედ, ხოლო 23 აპრილი — წიგნის ჩუქების დღედ. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, სადამრიგებლო კლასებში ტრადიციად დამკვიდრებულია წიგნების გაცვლა. მოსწავლეები ერთმანეთს ჩუქნიან წიგნებს, კითხულობენ მათ და შემდგომ კლასის საათზე აზიარებენ შთაბეჭდილებებს — განიხილავენ სიუჟეტს, პერსონაჟებს და საკუთარ დამოკიდებულებებს. აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს როგორც კითხვის კულტურის განვითარებას, ისე კომუნიკაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარების გაძლიერებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს და ამ საფუძველზე ახდენს მომსახურების გაუმჯობესებას. მშობელთა და მოსწავლეთა მოსაზრებები განიხილება შეხვედრებისა და კომუნიკაციის პროცესში, რის შედეგადაც ხდება შესაბამისი ცვლილებებისა და გაუმჯობესებების დაგეგმვა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- სკოლის შინაგანაწესი
- კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურზე, შეფასების რუბრიკები)
- რემედიაციის წესი
- განხორციელებული პროექტები (გეგმები), მასწავლებელთა რეფლექსიები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში ტარდება სხვადასხვა აქტივობა. კლასის დამრიგებლები კლსის საათის ფარგლებში პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად ესაუბრებიან მოსწავლეებს, რაც ხელს უწყობს პროფესიის არჩევას, მოსწავლეებს აძლევს პრაქტიკულ ცოდნას და მოტივაციას კარიერული ზრდისთვის. სკოლა ასევე გეგმავს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაძლიერებას გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით. ამ მიზნით მიმდინარეობს მუშაობა ქ. გორში არსებულ განთიადი კოლეჯ "განთიად"-თან თანამშრომლობის ფორმალიზებაზე, რაც მომავალში მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას უფრო ახლოს გაეცნონ პროფესიულ პროგრამებსა და პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებულ სწავლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერ წარმომადგენლების ინფორმირებას შემდგომი განათლებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაცია არის სანდო, განახლებული და ხელმისაწვდომი. მოსწავლეებსა და მშობლებს ეძლევათ ინფორმაცია პროფესიული და უმაღლესი განათლების შესაძლებლობების შესახებ შეხვედრების, კონსულტაციების და საინფორმაციო კომუნიკაციის გზით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს კარიერული ორიენტაციის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ჩატარებული აქტივობებისა და შეხვედრების შემდეგ მიღებული მოსაზრებები გამოიყენება მომდევნო აქტივობების დაგეგმვისა და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026
- სადამრიგებლო პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ეფუძნება ინდივიდუალური მიდგომის პრინციპს. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს სსსმ მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებას, შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვასა და განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ), განისაზღვრება მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო სტრატეგიები და ხორციელდება მისი პროგრესის რეგულარული მონიტორინგი. სპეციალური მასწავლებლები მუშაობენ სსსმ მოსწავლეებთან რესურს ოთახში. სკოლის რესურს ოთახი აღჭურვილია მრავალფეროვანი აქტივობების განსახორციელებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერას თანამშრომლობითი მიდგომის საფუძველზე, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების — ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების — ჩართულობას. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს უწყობს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის დაგეგმვასა და განხორციელებას. სკოლაში ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება და მათი საჭიროებების გათვალისწინებით იგეგმება შესაბამისი საგანმანათლებლო აქტივობები. სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგი და მოსწავლის პროგრესის პერიოდული განხილვა, როგორც პედაგოგებს შორის კოორდინაციის, ისე მშობლებთან კომუნიკაციის ფორმატში. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 3 სსსმ მოსწავლე, რომელთა მხარდაჭერას უზრუნველყოფს სპეციალური მასწავლებელი. სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და სისტემატურად აწვდის მათ ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და განვითარების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსსმ ოქმები და ნამუშევრები
- ისგ-ები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოცემულ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებებს (როგორიცაა გახანგრძლივებული სწავლება, კვების, ტრანსპორტირების ან სხვა სერვისები). შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში განსაზღვრული საქმიანობები პრაქტიკაში არ ხორციელდება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებით მომსახურებებს. თუმცა, მსგავსი მომსახურებების შემოღების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს, რომ მათი განხორციელება დაეფუძნოს ნებაყოფლობითობის პრინციპს და შეთანხმდეს როგორც მართვის კოლეგიურ ორგანოსთან, ისე მომსახურების მიმღებებთან. ამასთან, დაგეგმილი მომსახურებები იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობაზე და მათი საჭიროებების გათვალისწინებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ვინაიდან სკოლა არ ახორციელებს დამატებით მომსახურებებს, აღნიშნული მოთხოვნა პრაქტიკაში არ ვრცელდება. თუმცა, სკოლა უზრუნველყოფს, რომ მსგავსი მომსახურებების დანერგვის შემთხვევაში დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა შესაბამისი ნორმა და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ბრეთის საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ინტერესებისა და პრიორიტეტების ასახვას სასწავლო პროცესში. პროცესი ეყრდნობა კათედრების კოლეგიურ მუშაობასა და წინა წლის მონაცემების ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა, სასწავლო გეგმა პერიოდულად განახლდეს საზოგადოების საჭიროებების შესაბამისად. კურიკულუმის განვითარების ციკლი მოიცავს დაგეგმვას, დანერგვასა და რევიზიას, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივ ადაპტაციას მოსწავლეთა შესაძლებლობებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს კათედრის ყველა წევრი. პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას. თითოეული აქტივობის დაგეგმვისას ყურადღება ექცევა კლასის სპეციფიკას, მოსწავლეთა ინტერესებს, მიღწევებსა და შესაძლებლობებს. კათედრებთან გასაუბრებამ კიდევ უფრო გამოკვეთა როგორც კათედრებში, ისე მათ შორის არსებული ძლიერი თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების სათანადოდ ასახვას კურიკულუმში. კლასის დამრიგებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან ან კანონიერ წარმომადგენლებთან როგორც მშობელთა კრებების დროს, ასევე ინდივიდუალური შეხვედრებისას, და მათი მოსაზრებებიც გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების რეალურ ჩართულობას დაგეგმვის ეტაპზე. მასწავლებლები აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად, რათა მათი შეხედულებები აისახოს კურიკულუმის განვითარების პროცესში. დოკუმენტის საბოლოო ვერსია წარმოადგენს კათედრის წევრების შეთანხმების შედეგს და მუდმივად განახლებადია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის ხორციელდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე. მშობლებს შემოქმედებითი და სასწავლო აქტივობების შესახებ ინფორმაცია მასწავლებლები აწვდიან როგორც მშობელთა კრებებზე, ასევე ინდივიდუალური კომუნიკაციის ფორმატში. კურიკულუმი ხელმისაწვდომია და გასაგებად წარმოდგენილია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, კურიკულუმის განხილვა და გაზიარება ხდება რეგულარულად, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებას და საჭიროების შემთხვევაში მის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საერთო პასუხისმგებლობის გაზიარებას და სასკოლო საზოგადოების ინტერესების სრულფასოვან ასახვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში (ბუნება,ბიოლოგია,ფიზიკა,ქიმია) წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები სამივე საფეხურზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლის პიროვნული განვითარებისდინამიკურ გზას, სადაც სასწავლო თემები და შემოქმედებითი ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და საფეხურებრივი საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის მოსწავლეზე ორიენტირებულობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მასში გათვალისწინებულია მოსწავლეების შესაძლებლობები. დოკუმენტები ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. **რჩევები:** • X კლასში (საქართველოს ისტორია) საკითხები და მათი კლასტერები სასურველია ორგანულად დაუკავშირდეს სამიზნე ცნებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი მექანიკური ან ხელოვნური მითითება. • სამიზნე ცნებების განაწილებისას (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) სასურველია მათი მიზნობრივი გადანაწილება შესაბამის საკითხებსა და საკითხთა კლასტერებზე. • მე-10 და მე-11 კლასებში (პროექტული სწავლება) სასურველია დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყოს მე-12 კლასის ანალოგიურად, სრულყოფილი სტრუქტურით. მხოლოდ განხორციელების ეტაპისა და რეფლექსიის ნაცვლად, სასურველია პროექტის დეტალური გეგმის წარმოდგენა, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთება პროექტის მიზნები, კავშირი სამიზნე ცნებებთან, შეფასების რუბრიკები და ვადები, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში პროექტული სწავლების სისტემურობის წარმოჩენას. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა - აქტივობები და მიზნები გათვლილია მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების განვითარებას საფეხურების მიხედვით. **რჩევა**: სასურველია გაგრძელდეს მუშაობა კურიკულუმების იმგვარ დახვეწაზე, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დიფერენცირებული მიდგომების დანერგვას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ენობრივი პროგრესის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და ორიენტირებულია მოსწავლეზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად. დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმი აღიქმება როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და განვითარების თავისებურებებს. სასწავლო პროცესი იგეგმება თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად. შუალედური მიზნების შესაფასებლად გამოყენებული დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ და განვითარების თავისებურებებს, რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი და შემოქმედებითი აქტივობები, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ინტერესის ზრდას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას და პროცესის ეფექტიან წარმართვას. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო და საგანმანათლებლო ღონისძიებაში, რაც დადებითად აისახება მათი შემოქმდებითი უნარებისა განვითარებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია თემები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, მეტწილად წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. იყო ცალკეული ხარვეზები, მაგალითად, მე-5 კლასის კურიკულუმში ტექსტები სხვა იყო საკითხებში და სხვა იყო რესურსებში. ან პირიქით, დასახელებული იყო ნაწარმოები, რომელიც უნდა შეისწავლონ, მაგრამ რესურსში არ ჩანს, არც გვერდი მიეთითება. მე-7 მე-8 კლასის კურიკულუმებში არ ჩანდა რა ქვეცნებებს მიემართებოდა კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალება. მე-10 კლასის კურიკულუმის ცნებები არ შეესაბამებოდა საფეხურს, მე-12 კლასის კურიკულუმში თემა, საკითხი და ტექსტები ერთ სვეტში იყო მოქცეული, და ა. შ. თუმცა კათედრასთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სრულად აქვთ გააზრებული ეს ხარვეზები, და რომ იმუშავებენ მათ დახვეწაზე,

	რის დასტურადაც მასწავლებლებმა დამატებით გამოგზავნეს უფრო დახვეწილი კურიკულუმის ნიმუშები საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; საკითხები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, თითოეული თემისთვის შერჩეულია საკითხების ჯგუფი, თუმცა რამდენიმე თემა და შესაბამისი საკითხების ერთობლიობა გასამიჯნია და ორ თემადაა ჩასაშლელი. თითოეული საკითხისთვის შერჩეულია რელევანტური ელექტრონული რესურსი, დასახულია გრძელვადიანი მიზნები, რომელთა მიღწევაც შუალედური მიზნებით-კომპლექსური დავალებებით ან პროექტებითაა შესაძლებელი. **რჩევა**: სასურველია, სხვადასხვა თემატური ბლოკის თემები არ იყოს ერთ თემად გაერთიანებული: მაგალითად: მე-5 კლასში გამოსახულება ალგებრის მიმართულებას მიეკუთვნება, კუთხე და მრავალკუთხედი კი-გეომეტრიას, წარმოდგენილ კურიკულუმში კი ეს ორი თემაა გაერთიანებული. ასევე, „ამოცანები მოძრაობაზე და ფართობის“ შესაბამისი საკითხები სხვადასხვა თემატური ბლოკიდანაა წარმოდგენილი. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა მიიღეს რჩევა, რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ. **რჩევა**: სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ (II-VI კლასის) ჩათვლით შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი სრულად არის ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისა და სამიზნე ცნებების რეალიზებაზე. დოკუმენტებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი შინაარსობრივი უწყვეტობა და ცოდნის კონსტრუირების სპირალური პრინციპი, სადაც ყოველი მომდევნო საფეხური ეყრდნობა წინა კლასებში შეძენილ ცოდნას და აღრმავებს მას. კურიკულუმის მიმართება სტანდარტთან დასტურდება სამიზნე ცნებების სისტემური დამუშავებით. პროცესის მიზანმიმართულობას განაპირობებს კომპლექსური დავალებების მეთოდოლოგია, რომელიც თითოეული თემის განუყოფელი ნაწილია. დავალებები სტრუქტურირებულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს თეორიული ცოდნის ტრანსფერი პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს.

	რჩევა: კურიკულუმების უფრო მეტი სრულყოფისთვის, სასურველია ძირითადი კონტექსტ-მაგალითების გრაფაში კონკრეტული მაგალითები და სიტუაციური სცენარი იყოს აღწერილი, რაც დაეხმარება მოსწავლეს, ტექნიკური ამოცანა აღიქვას როგორც რეალური გამოწვევა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის მოტივაციასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში. მაგალითად: V კლასის კურიკულუმში , ნაცვლად ჩანაწერისა „მაღაზიის სალაროს მუშაობის პრინციპი“, სასურველია ჩამოყალიბდეს როლური თამაში: „მოსწავლე ირგებს მაღაზიის მენეჯერის როლს, რომელმაც Excel-ის მეშვეობით უნდა დათვალოს დღიური ნავაჭრი და დაგეგმოს მარაგების შევსება“. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	1-4 კლასების ოთხივე საგნის (მე და საზოგადოება, ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაწავლისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც საგნობრივი პედაგოგები იყენებენ სასწავლო წლის დაგეგმვისას. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში პედაგოგებს გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, საგნის საფეხურებრივი სტანდარტის შედეგების რეალიზების გზები კურიკულუმში ნაჩვენებია კომპლექსური/ შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ კათედრას ჰქონდეს არჩეული თანამშრომლობითი კულტურით კურიკულუმის ფორმა. იყოს თემების შესაბამისობა,საკითხების და რესურსების თანხვედრა და სხვა. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებით საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში (ბუნება,ბიოლოგია,ფიზიკა,ქიმია) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და მოყვანილი აქვთ საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. დიდი ყურადღება ეთმობა გრძელვადიანი მიზნების შესრულებისათვის შემუშავებულ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და პრიორიტეტებს - სასკოლო კურიკულუმში ასახულია სამიზნე ცნებები და მათზე მორგებული საკითხები/საკითხების კლასტერები. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, სადაც შემოქმედებითი ბუნების დავალებები წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტს მოსწავლის ფუნქციური უნარებისა და საფეხურებრივი შედეგების მისაღწევად. წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები (ისტორია, საქართველოს ისტორია, ჩვენი საქართველო, გეოგრაფია, მოქალაქეობა) პასუხობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. **რჩევები:** • სასურველია სამიზნე საგნობრივ კურიკულუმში (განსაკუთრებით VI კლასის „ჩვენი საქართველო“ და XI კლასის ისტორია) თითოეულ თემასთან მიეთითოს ყველა ის სამიზნე ცნება, რომელსაც სტანდარტი განსაზღვრავს მოცემული საფეხურისთვის. • სასურველია, სამოქალაქო განათლებისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში (VII-X კლასები) სამიზნე ცნების დასახელებად შენარჩუნდეს სტანდარტისეული ტერმინი - „საზოგადოება“, ხოლო „სოციალიზაცია“ მიეთითოს ქვეცნების სახით, რათა დოკუმენტაცია სრულად შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტის იერარქიას. • სასურველია, XII კლასის ისტორიის პროგრამიდან ამოღებულ იქნას თემა „მსოფლიო XIX საუკუნეში“, ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, აღნიშნული ისტორიული პერიოდის სწავლება განსაზღვრულია XI კლასისთვის. • ასევე სასურველია სამიზნე ცნებები შინაარსობრივად დაუკავშირდეს კონკრეტულ საკითხებსა და კლასტერებს, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი მექანიკური მითითება და მკაფიოდ წარმოაჩნდეს თითოეული ცნების დამუშავების პროცესი საგაკვეთილო თემების ფარგლებში.

	• X კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში, თემაში „სამართლებრივი კულტურა“, სასურველია დაემატოს სამიზნე ცნება „დემოკრატია“, რაც უზრუნველყოფს საკითხის სრულფასოვან დამუშავებას სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ გეგმის მიზნებს, განსაკუთრებით - ენობრივი კომპეტენციების განვითარებასა და ფუნქციური ენის გამოყენებას. **რჩევა**: სასურველია გაგრძელდეს კურიკულუმების გამდიდრება შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება სამიზნე ცნებებს და მიმართულია მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ, ამასთან ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და განვითარების ეტაპებს. კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. მათი შესრულების პროცესში მოსწავლეები გეგმავენ საქმიანობას, თანამშრომლობენ, აკეთებენ დასკვნებს და ახორციელებენ რეფლექსიას, რაც განაპირობებს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. ანალიზმა აჩვენა, რომ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში სამიზნე ცნებები და შესაბამისი ქვეცნებები სრულად არ არის ასახული, თუმცა სასწავლო პროცესში თემების ფარგლებში ისინი რეალურად მუშავდება. **რჩევა:** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში თემის ფარგლებში უფრო სრულად აისახოს ყველა ის სამიზნე ცნება, რომელიც რეალურად მუშავდება სასწავლო პროცესში. კერძოდ: II კლასი – სასურველია, I და III თემებში მიეთითოს შესაბამისი სამიზნე ცნება; II თემაში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“, ხოლო I–V თემებში – „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“. III კლასი – სასურველია, II, IV და V თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება; I და III თემებში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“, ხოლო I–V თემებში – „სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“. დამატებით, V თემაში

	მიზანშეწონილია მიეთითოს „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“. ასევე სასურველია, V თემაში მოცემულ შემოქმედებით დავალებაში დაკონკრეტდეს, თუ რომელ ტექნიკაში უნდა შეასრულოს მოსწავლემ ნამუშევარი. IV კლასი – სასურველია, II, IV და V თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება „სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები“, ხოლო V თემაში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“. ამასთან, სასურველია IV და V თემებში საკითხების უფრო მკაფიოდ წარმოდგენა. V კლასი (სახვითი ხელოვნება) – სასურველია, I, III და IV თემებში მიეთითოს სამიზნე ცნება „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები“, ხოლო V თემაში – „სახვითი ხელოვნების ტექნიკა“. V კლასი (მუსიკა) – სასურველიაIV და V თემების გაერთიანება ერთ თემატურ ბლოკად („მუსიკა დრამატულ და პანტომიმის თეატრში“). ამასთან, თემების ჩარჩოს ერთგვაროვანი შევსება ყველა თემაში, პირველ თემაში გამოყენებული პრინციპის შესაბამისად. ასევე სასურველია ქვეცნებების დამატებითი დაკონკრეტება. VI კლასი (მუსიკა) – სასურველია IV და V თემების გაერთიანება ერთ თემატურ ბლოკად (ოპერა, მიუზიკლი, მუსიკა საბალეტო ხელოვნებაში). რეკომენდებულია თემების ჩარჩოს ერთგვაროვანი შევსება ყველა თემაში, პირველ თემაში გამოყენებული მიდგომის შესაბამისად. საშუალო საფეხური (მუსიკა) – სასურველია პროექტის იდეის დაკონკრეტება და მკაფიოდ განსაზღვრა, თუ რა ტიპის საბოლოო პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ პროექტის ფარგლებში. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია ცნებათა სწავლებაზე, რისი მანიშნებელიცაა ე. წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება. **რჩევა:** • მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. • სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები და დავალების იდეა/პირობა. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებისკენ: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. თითოეული სამიზნე ცნება ჩაშლილია ქვეცნებებად. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების (II-VI კლასები) ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი სრულ თანხვედრაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. პედაგოგს კარგად აქვს გააზრებული საგნის სწავლების გრძელვადიანი მიზნები, რაც აისახება კომპლექსური დავალებების შინაარსსა და მათ მრავალფეროვნებაში. ინტერვიუში მასწავლებელმა აღწერა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან თანხვედრაშია. კურიკულუმი სისტემურად ფარავს სტანდარტით განსაზღვრულ სამივე სავალდებულო მიმართულებას და ყველა სამიზნე ცნებას. დავალებები და თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს არა მხოლოდ ტექნიკური უნარების დაუფლებას, არამედ კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას, რაც სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარ პრინციპებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი სასწავლო რესურსებით. **რჩევა**: სასურველია, მათემატიკის I და IV კლასების კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები და რესურსების გრაფაში მიეთითოს სახელმძღვანელოსა და მოსწავლის სამუშაო რვეულის შესაბამისი გვერდები, რადგან აღნიშნული ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვას, მასწავლებლისთვის მასალის მიზნობრივად შერჩევას და მოსწავლეებისთვის სწავლის პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას. • ბუნებისმეტყველებაში III და IV კლასების კურიკულუმებში თემებისა და საკითხების საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა სასურველია, რადგან ეს უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ეროვნული სტანდარტის მოთხოვნებთან თანხვედრას და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3..**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში (ბუნება,ბიოლოგია,ფიზიკა,ქიმია) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში მოცემულია ძირითადი და დამხმარე რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები, ვიდეომასალა), რაც კავშირშია სამიზნე ცნებებთან და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მასწავლებლები კათედრებზე არჩევენ მრავალფეროვან საგანმანათლებლო მასალებს, რომლებიც შემოქმედებითი ბუნების დავალებების შესრულებისას ეხმარება მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. რესურსების შერჩევისას მთავარი აქცენტი კეთდება მათ შესაბამისობაზე მოსწავლეთა ინტერესებთან და ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან. **რჩევა**: XI კლასი (ისტორია): სასურველია მიეთითოს კონკრეტული დამატებითი რესურსები (ზოგადი დასახელების „Youtube“-ის ნაცვლად, მიუთითეთ პირდაპირი ბმულები კონკრეტული ვიდეომასალით). **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე შერჩეული სასწავლო რესურსები მრავალფეროვანია და ვალიდური. გამოყენებული მასალა (სახელმძღვანელოები, აუდიო-ვიზუალური მასალა, სასწავლო პლატფორმები) პირდაპირ კავშირშია სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზნობრივად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამატებით იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ რესურსსა და დამხმარე მასალას, რაც ხელს უწყობს აქტიურ და ჩართულობაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების ეფექტიან მიღწევას. **რჩევა**: სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების თითოეულ თემაში სასურველია უფრო სრულად აისახოს ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

	ასევე სასურველია, მუსიკის კურიკულუმებში სამინისტროს მიერ შეთავაზებული რესურსები წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ ზოგადი მითითებით, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულები. სასურველია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VIII კლასის კურიკულუმის პირველ თემაში წარმოდგენილი ბმულები სასურველია გადატანილ იქნას თემატურ ბლოკში „ადამიანი და ხელოვნება“. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს ცალკეულ მასალას იუთუბ არხიდან, ინტერნეტრესურსებს. რჩევა: სასურველია სახელმწიფო ენაში სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია** .
მათემატიკა	სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (პირველ-მეორე კლასებში-„მე მიყვარს მათემატიკა“, მესამე-მეოთხე კლასებში - ინტელექტის გამომცემლობა, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით, მე-5 - მე-6 კლასებში ავთანდილ საგინაშვილის ატორობით, გამომცემლობა „პედგოგიკა“, საბაზო და საშუალო საფეხურებზე გამომცემლობა „ინტელექტი“, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით) და დამატებით სახელმძღვანელოებს, ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ბმულების სახით, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, რესურსები (მაგ, მე-12 კლასი) იყოს უფრო მკაფიოდ და დეტალურად წარმოდგენილი, რადგან ეს უზრუნველყოფს მათი მიზნობრივად გამოყენებას, ამარტივებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვას და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ეფექტიანობას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალ;ური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლა ცხადყოფს, რომ მასწავლებელი აქტიურად იყენებს სასწავლო რესურს school.emis.ge, სადაც მოსწავლეებისთვის საინტერესო და სახალისო დავალებებია მოცემული. სასწავლო პროცესში ასევე ჩართულია ისეთი პროგრამები და პლატფორმები, როგორიცაა PAINT 3D, Scratch.mit.edu, Code.org, Tinker Card, Learningapps.org რაც პროგრამირების და დიზაინის სწავლის პროცესს ბავშვებისთვის უფრო გასაგებს ხდის. ამასთანავე, კურიკულუმი ითვალისწინებს მუშაობას საოფისე პროგრამებში (Word, PowerPoint, Excel), რაც მოსწავლეებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში ეხმარება. ყველა ეს რესურსი მორგებულია ბავშვების ასაკსა და ინტერესებს, სასწავლო პროცესში გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტს. შერჩეული რესურსები ნამდვილად ეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; სასწავლო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის კათედრა პირველ სხდომაზე არჩევს და შეთანხმებულად განსაზღვრავს გამოსაყენებელი რესურსების ჩამონათვალს- გრიფირებულ და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, მატერიალურ რესურსებს- კომპიუტერებს, პროექტორს, პლაკატებს, გეომეტრიული სხეულების მოდელებს და სხვა. სწავლა-სწავლებისათვის ასევე გამოყენებული აქვთ ელექტრონული რესურსებიც (ხანის აკადემია, ტელესკოლის გაკვეთილები, math.ge,learning. Aps. ელექტრონული და სხვა). ყოველივე ეს ასახულია კურიკულუმების შესაბამის ნაწილში. გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების,

	პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მათი მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასთან მიმართებაში. საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია თვალნათლივ გვიჩვენებს,რომ მასწავლებლებისათვის უცხო არაა დიფერენცირებული დავალებების მომზადება და შეთავაზება მოსწავლეთათვის. ისინი წარმატებით იყენებენ სასწავლო მენიუს და სხვა სტრატეგიებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი აგებულია ინკლუზიურობის პრინციპზე, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას სწავლა-სწავლების დაგეგმვის ეტაპზე. დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება დასტურდება კურიკულუმებში ადაპტირებული კომპლექსური დავალებებით, რესურსების მრავალფეროვნებითა და სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებით. მასწავლებლები მოსწავლეებს შემოქმედებითი ბუნების დავალებას სთავაზობენ და როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს, ისინი ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას და, საჭიროების შემთვევაში, უმარტივებენ დავალების პირობას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები, შესაბამისი აქტივობები, რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით) ცხადყოფს, რომ, სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. სკოლაში უზრუნველყოფილია დიფერენცირებისა და ადაპტაციის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. **რჩევ**ა: სასურველია, უცხოური ენების მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და წარმოადგენს სწავლა-სწავლების ორგანიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს. დოკუმენტში წარმოდგენილია მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას. დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია ინკლუზიური სწავლების პრაქტიკა, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ), რაც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო

	საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩართულობასა და მათი ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი აქტივობები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დონისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. მათ შორის, ერთსა და იმავე დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ნამუშევარი შეასრულონ სხვადასხვა ფორმითა და მასალის გამოყენებით, რაც წარმოადგენს დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკულ გამოვლინებას და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც აისახება შერჩეულ სასწავლო რესურსებში, თემებში. **რჩევა**: სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები სრულად აისახოს კურიკულუმებში. **2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს და მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის იყენებენ დიფერენცირების ინსტრუმენტებს, ასევე - მოდიფიცირებულ დავალებებს. ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინკლუზიურობას და დიფერენცირებულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობისა და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კლასში მყოფ ყველა მოსწავლესა და მათ ჩართულობაზე. მასწავლებელი დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს იყენებს, რათა თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობა და ინტერესი იყოს გათვალისწინებული. ეს მიდგომა პრაქტიკულად ჩანს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, სადაც მოსწავლეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება. მაგალითად, პროგრამირების (Scratch) დავალებების შესრულებისას, ბავშვებს შეუძლიათ თავად შეარჩიონ პერსონაჟები, გარემო და სირთულის დონე. ასევე საოფისე პროგრამაში მუშაობისას, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ შეარჩიონ მათვის საინტერესო თემები და მოარგონ თავის შესაძლებლობებს.

	ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მოსწავლეებს დამატებითი ინსტრუქციებით ან დამხმარე მასალებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს პროცესის მიღმა. აგრეთვე ინდივიდუალურ მიდგომას იყენებს მასწავლებელი სსსმ მოსწავლესთან, რასაც ადასტურდებს წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმა და მოსწავლის ნამუშევარი. დოკუმენტაციისა და გასაუბრების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი გარემო, სადაც თითოეული მოსწავლის წინსვლა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენაა გათვალისწინებული. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სსმ მოსწავლე 1-4 კლასებში არ ჰყავთ. კლასები იმდენად მცირერიცხოვანია,(5-7 მოსწავლეა) რომ ფაქტობრივად ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ მოსწავლესთან. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი მეცნიერებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. პედაგოგებთან გასაუბრება და წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. აგრეთვე ჩანს ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების არსებობა ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სამიზნე ცნებებზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლის ობიექტურ შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტაცია ქმნის საფუძველს თითოეული მოსწავლის აკადემიური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და სწავლების ხარისხის განვითარებისთვის.

	რჩევა: სასურველია (გლობალური მოქალაქეობა - შეფასების რუბრიკა): განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში მოცემული ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდეს და მოერგოს უშუალოდ საგაკვეთილო საკითხს, რათა შეფასების პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე და გაზომვადი. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის გააზრებაში. აღსანიშნავია ორივე ტიპის შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნება, მათ შორის დიფერენცირებული, ადაპტირებული აქტივობებისთვის. ეს მრავალფეროვნება ხელს უწყობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ შეფასებას და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. **რჩევა:** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გაგრძელდეს შეფასების რუბრიკების შემუშავება თემებზე, საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებით, დავალების ტიპისა და საფეხურის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებას მოსწავლეთა პროგრესის წახალისებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის შეფასების სისტემა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მიღწევების განსაზღვრას, მისი განვითარების დინამიკის გამოვლენასა და მხარდაჭერას. სკოლაში შემუშავებულია დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადი რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე. ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის დავალებისთვის განკუთვნილი ზოგადი რუბრიკები (ინფორმაციის მოძიება, წერითი აქტივობა, პრეზენტაცია, პრაქტიკული ნამუშევარი, პროექტი, ჯგუფური მუშაობა, ხელოვნების ნიმუშის ანალიზი), რაც ქმნის შეფასების ერთიან და თანმიმდევრულ ჩარჩოს. შეფასების მიდგომები ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე და ხელს უწყობს მის აქტიურ ჩართულობასა და რეფლექსიის უნარების განვითარებას. **რჩევა:** სამივე საფეხურზე, როგორც მუსიკაში, ისე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თითოეული თემის ფარგლებში სასურველია შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, მკაფიოდ და

	დეტალურად ფორმულირებული კრიტერიუმებით, რაც შეფასების პროცესს უფრო გასაგებს, ობიექტურსა და შედეგებზე ორიენტირებულს გახდის. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. თუმცა თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებულ რუბრიკებში მეტ-ნაკლებად იყო ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები. **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. ასევე შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ცხრილები, პრეზენტაციის და საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები, საკლასო მუშაობის შეფასების რუბრიკები, თუმცა ეს შეფასებები ზოგადი ხასიათისაა და აკლია კონკრეტიკა კონტექსტის მიხედვით (გამონაკლისების გარდა). ვიზიტის დროს მასწავლებლები საუბრობდნენ, რომ იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე, თუმცა აკლია აკადემიურობა. **რჩევა:** სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ესგთი განსაზღვრული რუბრიკების შესაბამისად, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და უნარები. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმათარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა სრულ თანხვედრაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. შეფასება არ ატარებს მხოლოდ მაკონტროლებელ ხასიათს; ის ორიენტირებულია სწავლის

	ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლის წინსვლაზე. მასწავლებელი იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევევ განმავითარებელ შეფასებას, რაც მოსწავლეს ეხმარება გააცნობიეროს: რა გააკეთა კარგად, რა ხარვეზები ჰქონდა და როგორ უნდა გაუმჯობესოს შედეგი მომავალში. კომპლექსური დავალებისთვის შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება ფუნქციურ უნარებს. შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც ქმნის პოზიტიურ სასწავლო გარემოს და სტიმულს აძლევს მოსწავლეს, იყოს უფრო მეტად პასუხისმგებლიანი საკუთარ სწავლაზე. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. დოკუმენტი უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები (შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირება) უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები.შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, არის ზოგადი ხასიათის რუბრიკებიც. **რჩევა**: კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ საგნობრივ სტანდარტებს და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტების გეგმები;

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში (ბუნება, ბიოლოგია,ფიზიკა,ქიმია) სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესის წარმართვა საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე დასტურდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრებით, რომლებიც ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური დავალებების პრაქტიკულ შესრულებას. საგნობრივი კურიკულუმების შინაარსი სრულ თანხვედრაშია სასწავლო პროცესთან, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების თანმიმდევრულ დამუშავებას თითოეული საკითხის ფარგლებში. წარმოდგენილი მოსწავლეების ნამუშევრები და სასწავლო რესურსები ნათლად აჩვენებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მიზანმიმართულად მიჰყვება სკოლის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო გზას და ორიენტირებულია გრძელვადიანი შედეგების მიღწევაზე. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმსა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. შერჩეული მეთოდოლოგია და ინტერაქციული აქტივობები უზრუნველყოფს

	ენობრივი კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას. ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება პედაგოგთა მზაობა და კომპეტენცია, მოახდინონ სასწავლო პროცესის მოქნილი მოდიფიცირება (ტრანსფორმაცია) მოსწავლეთა ინტერესებისა და დინამიკური საჭიროებების გათვალისწინებით. **რჩევა**: სასურველია, შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ინტერაქციული და პრაქტიკული აქტივობების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციურ უნარებს და გაზრდის საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე და განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით. სასწავლო პროცესში გამოიყენება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები პრაქტიკაში რეალურად და თანმიმდევრულად ხორციელდება. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კომპლექსური დავალება ან ნებისმიერი ტიპის შემოქმედებითი პროდუქტი შერჩეულია კურიკულუმში გაწერილი თემის შესაბამისად. დავალების პირობა კავშირშია მოსწავლის როლთან და სასწავლო შედეგებთან, დავალების იდეა კი უფრო ზოგადია, აკლია კონკრეტიკა. რითაც მოსწავლისთვის იყოს გასაგები იქნებოდა. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმში დავალების პირობა უფრო კონკრეტული იყოს და ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე, რის დასტურადაც კათედრამ წარმოადგინა რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, იმ შემოქმედებითი დავალების ნიმუშები, რომელთა განხორციელებაც კურიკულუმების მიხედვითა იყო დაგეგმილი. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (რომელიცაა შიდასასკოლო ფესტივალები და კონფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება დაგეგმილ სასკოლო კურიკულუმს. სასწავლო გეგმაში მოცემული კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად და თანმიმდევრულად ხორციელდება კლასებში. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმილი აქტივობები (მაგალითად, Scratch-ში პროგრამირება და Code.org -ში მუშაობა რეალურად ხორციელდება და მორგებულია თითოეული კლასის საჭიროებებს. პედაგოგი სასწავლო პროცესში წარმატებით იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსებსა და შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილ კურიკულუმებს ასევე ახლავს კომპლექსური დავალება, რეფლექსია, მოსწავლეთა ნამუშევრები და შემაჯამებელი დავალება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების ბარათები (რომლითაც გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა), აქტივობებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. განხორციელებული შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია, **რჩევა**: სკოლას მივეცი რჩევა სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-5 და მე-8 მუხლებზე დაყრდნობით, სკოლა მუდმივად აკვირდება სწავლის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში მაშინვე შეაქვს ცვლილებები კურიკულუმში. მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეების შედეგებს და ამის მიხედვით ცვლიან დავალებებს ან სასწავლო მასალას, რათა ის უკეთ მოერგოს ბავშვების ინტერესებს.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე- ბუნებაში, ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა დაფუძნებულია წინასწარ განსაზღვრულ რუბრიკებსა და კრიტერიუმებზე, რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასების პროცესი გამჭვირვალეა, რადგან მოსწავლეებმა და მშობლებმა წინასწარ იციან, რა მოეთხოვებათ თითოეული დავალების შესრულებისას. მუდმივი განმავითარებელი უკუკავშირი კი სისტემას სანდოს ხდის და ეხმარება მოსწავლეს, რეალურად დაინახოს საკუთარი პროგრესი. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. გამოყენებული კრიტერიუმები და მრავალფეროვანი ფორმები ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას. **რჩევა**: სასურველია შეფასების ინსტრუმენტების პერიოდული რევიზია და კათედრის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის გაძლიერება. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე. კრიტერიუმები და შეფასების დონეები ძირითადად ჩამოყალიბებულია მკაფიო და მოსწავლეებისთვის გასაგები ენით, თუმცა რიგ შემთხვევაში საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, რათა შეფასების მოთხოვნები უფრო ნათელი და ხელმისაწვდომი გახდეს. **რჩევა:** სასურველია, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ერთვოდეს შესაბამისი აღწერა (მაგ., რა შემთხვევაში ენიჭება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს. სასურველია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლო კრიტერიუმები ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად იყოს განსაზღვრული. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უკეთ გაგებას როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან და გააძლიერებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შესაფასებელი რუბრიკები და დავალების შეფასების რეფლექსიები. **რჩევა**: სასურველია, კათედრამ აწარმოოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები და მოცემული თემის შესაბამისი ტესტები, სადაც დავალებებს მინიჭებული აქვს ქულები. გასაუბრების დროს მათემატიკის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემაჯამებელ დავალებებში თითოეულ დავალებას(საკითხს) უწერია მაქსიმალური ქულა, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალეობას და ობიექტურობას. ასევე, სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც აკლია მკაფიოობო და მოცემული თემის შეფასების ესგ-თი განსაზღვრულობა **რჩევა**: სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული, რაც მათ მეტ აკადემიურობას შესძენს. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმებისა და პედაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების ვალიდობა დასტურდება იმით, რომ შერჩეული კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს სასწავლო მიზნებიდან — მასწავლებელი აფასებს არა მხოლოდ ტექნიკურ შესრულებას, არამედ იმას, თუ რამდენად გაიაზრა მოსწავლემ საკითხის არსი. შეფასების პროცესი არის სრულიად გამჭვირვალე; კომპლექსური დავალების გაცემისთანავე, მოსწავლეებისთვის ცნობილია შეფასების რუბრიკა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს პროცესის დამატებით მონიტორინგსა და ხარისხის კონტროლს. ეს მექანიზმი კიდევ უფრო ზრდის შეფასების სანდოობას, რადგან ხდება ნამუშევრებისა და რუბრიკების შესაბამისობის გადამოწმება. სისტემის ობიექტურობასა და სამართლიანობას განაპირობებს ისიც, რომ შეფასება ეყრდნობა კონკრეტულ მტკიცებულებებს, მოსწავლეთა მიერ შექმნილ ციფრულ პროდუქტებს. ვერიფიკაციის პროცესი და მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმავითარებელი კომენტარები ქმნის ნდობასა და პოზიტიურ განწყობას სასწავლო პროცესის მიმართ, რაც სტიმულს აძლევს მოსწავლეს საკუთარი შედეგების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **რჩევა:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს უნდა წარმოადგენდეს. სკოლაში ფუნქციონირებს აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმები. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ თანახმად, სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმს.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის „საქმისწარმოების ზოგადი დებულების“ თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და მტკიცებულების სისტემურ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას.პედაგოგები მათ ეფექტურად იყენებენ მოკლე და გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებას. რესურსების შერჩევა ხდება კომპლექსური დავალებების სპეციფიკის გათვალისწინებით, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა მრავალფეროვან ინფორმაციაზე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეების დავალებების ნიმუშების ნახვის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა სახის რესურსს შედეგებზე გასასვლელად.

	ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში ინტეგრირებული ძირითადი და დამხმარე რესურსები ვალიდურია და სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს. შერჩეული მასალები (ტექსტური, აუდიო-ვიზუალური, ციფრული) ეფექტურად უწყობს ხელს უცხოურ ენაში კომპეტენციების განვითარებასა და მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. **რჩევა:** სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეინარჩუნოს სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი ინტერაქტიული რესურსების გამოყენების დინამიკა. მიზანშეწონილია კოლეგებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, განსაკუთრებით ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი კომპეტენციების შემდგომ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას დაწყებით და საბაზო საფეხურზე იყენებენ როგორც გრიფირებულ ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ხელოვნების გაკვეთილებზე, შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ვიზუალურად და პრაქტიკულად გამდიდრებას. გასაუბრებისას გამოიკვეთ , რომ , მუსიკის სწავლებისას პროცესში სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებას იყენებენ თუმცა კურიკულუმში არ არის მითითებული. **რჩევა:** • სასურველია, ხელოვნებისა და მუსიკის რესურსების ბაზა დაიგეგმოს კათედრის შეთანხმებით; • რესურსები დალაგდეს თემების, საგნებისა და კლასების მიხედვით კურიკულუმთან შესაბამისობაში; • აქტიურად იქნას გამოყენებული განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული ვებ-გვერდები და პლატფორმები; მუსიკის საგნის სწავლებისას ინტეგრირდეს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსები, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე ელექტრონულ რესურსებს ფილმები, იუთუბი) **რჩევა:** სასურველია, გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სკოლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებით, სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, ეს რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული (ბმულებითაა ჩაშენებული) კურიკულუმებში. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმებში მითითებული ბმულების სათაურებში ჩანდეს, თუ რა საკითხს შეეხება ეს რესურსი, რაც გაამარტივებს საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური და ციფრული რესურსებით. მნიშვნელოვანია, რომ რესურსების გამოყენება არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და ისინი შერჩეულია თითოეული თემის სპეციფიკისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები. მაგალითად, სასწავლო რესურსი school.emis.ge გამოიყენება როგორც ძირითადი საგანმანათლებლო ინსტრუმენტი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, ხოლო ისეთი პროგრამები, როგორიცაა Paint 3D, Scratch და Tinkercad, Learningapps.org წარმოადგენს დამხმარე პლატფორმებს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად. ინტერვიუდან იკვეთება, რომ სკოლის ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული ლაბორატორია) სრულად აღჭურვილია და იძლევა მრავალფეროვანი რესურსების გამოყენების საშუალებას, რაც შეეხება ინტერნეტთან წვდომას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ კავშირი წყდება ან დაბალი სიჩქარეა, მასწავლებელი მაინც ახერხებს სწავლა სწავლების პროცესში ციფრული რესურსების აქტიურად გამოყენებას. რესურსების მრავალფეროვნება და მათი მიზნობრივი გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს,ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში განთავსებული სასწავლო რესურსები ვალიდურია, შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს,მორგებულია მოსწავლის ასაკობრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე. რადგან კურიკულუმები განხილულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, აქედან გამომდინარე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. **რჩევა:** სასურველია შემუშავებულ და გამოყენებულ იქნას სასწავლო რესურსების ვალიდაციის ფორმა. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებობს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების გარკვეული პრაქტიკა. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ფარგლებში მასწავლებლები აჯერებენ იმ მასალას, რომლებიც გამოიყენება შემოქმედებითი ბუნების დავალებების შესრულებისას. წარმოდგენილი მატრიცები და კურიკულუმები ადასტურებს, რომ შერჩეული რესურსები ვალიდურია და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე დამხმარე რესურსები შერჩეულია კვალიფიციური კადრის, პედაგოგების აქტიური ჩართულობით, თითოეული საფეხურისა და ენის დონის სპეციფიკის გათვალისწინებით და სკოლაში მიზნობრივად გამოიყენება. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსი, რომლებიც შერჩეულია სასწავლო პროცესის საჭიროებების, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და თემატური კონტექსტის გათვალისწინებით. კათედრის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ რესურსებს და იღებენ გადაწყვეტილებას მათი სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ხარისხიან შერჩევას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმა. სკოლას აქვს პრაქტიკა: კათედრის სხდომაზე განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო რესურსებს: ძირითად-გრიფირებულ და დამხმარე სახელმძღვანელოს, სხვა ვიდეო და ელ. რესურს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასასრულს, კათედრაზე აანალიზებენ და ერთმანეთთან შეთანხმებით არჩევენ ისეთ სასწავლო რესურსებს, რომლებიც არის სანდო და ვალიდური. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(კათედრის მუშაობის ოქმი და კათედრის სამუშაო გეგმა), საიდანაც ჩანს, რომ მათემატიკის კათედრაზე ხდება რესურსების შერჩევა და მათი ვალიდაცია. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცის ანალიზით და მასწავლებელთან გასაუბრებით ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. ხოლო, ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი school.emis.ge არის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული (კომპიუტერულ ტექნოოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს) და შესაბამისად არის ვალიდური. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია.მასწავლებლები სარგებლობენ მარტივი, უსაფრთხო რესურსებით,რომელთა საშუალებითაც ავითარებენ მოსწავლეთა კვლევით უნარ-ჩვევებს.

	დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ატარებენ გაკვეთილებს ბუნებაში, აწარმოებენ დაკვირვებას საკლასო სივრცეში.დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ასევე იყენებენ ბუკებს მათში ჩატვირთული დავალებებით საბუნებისმეტყველო საგნებში. საბაზო და საშუალო საფეხურზე პედაგოგები იყენებენ მოდელებს,პრეზენტაციებს, ონლაინ/ვირტუალურ ლაბორატორიებს. ქიმიური ექსპერიმენტებისათვის საჭირო რეაქტივები ინახება სპეციალურ დაცულ კარადაში,რომელთანაც წვდომა აქვს მხოლოდ პედაგოგს.ქიმიური ექსპერიმენტები ტარდება მხოლოდ უსაფრთხო მასალებით და კარგად განიავებად ოთახში,საექსპერიმენტო მაგიდის ზედაპირი ინერტული მასალისაა, არააალებადია. დაცულია გონივრული დისტანცია . პედაგოგები ატარებენ გასვლით გაკვეთილებს, სასწავლო-შემეცნებით ექსკურსიებს, აწარმოებენ დაკვირვებას საკლასო სივრცეში. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და აღჭურვილობით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სასწავლო გარემო და გამოყენებული მასალები ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია, რაც მათ საშუალებას აძლევს სრულყოფილად დაადასტურონ მიღწეული სწავლის შედეგები. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით. არსებული ბაზა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, მოსწავლეთა მაღალ ჩართულობასა და უცხოური ენების ათვისების ოპტიმალურ პირობებს. **რჩევა:** სასურველია, მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების შენარჩუნება და მათი პერიოდული განახლება ციფრული თუ ვიზუალური მასალით, ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლებს აქვთ ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებაზე (კომპიუტერი, პროექტორი, აუდიოტექნიკა და სხვა), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული საგნებისთვის და ხელს უწყობს ვიზუალური და აუდიო მასალის ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში.

	პედაგოგები იყენებენ როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მრავალფეროვან დამატებით მასალებს, თვალსაჩინოებებს, და სხვა დამხმარე რესურსებს, რაც ზრდის სასწავლო პროცესის დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ზრუნავს მის კიდევ უფრო მეტად დახვეწაზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს ისტ ტექნოლოგიების კაბინეტს, რომელიც სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია. ასევე, წარმოდგენილია მოსწავლეების შექმნილი რესურსები, მაკეტები, პოსტერები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა, რაც სწავლა-სწავლების პროცესს უფრო საინტერესოს და სახალისოს ქმნის და ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისა და კომპიუტერული ლაბორატორიის სურათების გაცნობის საფუძველზე დასტურდება, რომ კურიკულუმის განხორციელება გამყარებულია შესაბამისი მატერიალური ბაზით. სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია სრულად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობრივ მოთხოვნებს, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს, ინდივიდუალურად იმუშაოს ტექნიკასთან. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა დაცულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო გარემო არ არის გადატვირთული და პედაგოგს აქვს შესაძლებლობა, მივიდეს ბავშვთან ინდივიდუალურად, გაუწიოს კონსულტაცია და თვალი ადევნოს პრაქტიკული დავალებების მიმდინარეობას. კომპიუტერები აღჭურვილია საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით, რაც აუცილებელია კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. სკოლა ასევე უზრუნველყოფს ტექნიკის გამართულობასა და ინტერნეტთან კავშირს, რაც ქმნის საიმედო გარემოს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეუფერხებლად შეძლონ კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა აქტივობის შესრულება და დასახული მიზნების მიღწევა. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებით, ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ასევე ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი

	მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სწავლების პროცესში ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის საჭირო ყველა რესურსი, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი: პედაგოგები, სპეც.მასწავლებელი, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შესაბამისი საგნობრივი კურუკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიისა“ და „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ სრული დაცვით. მონიტორინგის პროცესი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების, სასწავლო პროცედურებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების სისტემურ შემოწმებას. აღნიშნული მექანიზმი იძლევა საშუალებას, რომ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთოს საჭიროებები და დაიგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ამ ეტაპზე ეფექტური უკუკავშირის საშუალებით ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება. სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას და უზრუნველყოფს მათ საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მასწავლებლებს ეძლევათ უკუკავშირი გაკვეთილების გაუმჯობესებისთვის, ხოლო მოსწავლეებს — ინდივიდუალური მხარდაჭერა სირთულეების გადალახვაში. ასევე, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლა გეგმავს დამატებით აქტივობებს ან ტრენინგებს სასკოლო საზოგადოების წევრების განვითარების მიზნით.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა და მოიცავს მონაცემების შეგროვების სხვადასხვა გზებს. სკოლაში ინფორმაცია იკრიბება სხვადასხვა წყაროსგან, მათ შორის საგნის მასწავლებლის დაკვირვების, კლასის ხელმძღვანელის, კოლეგების, მშობლებისა და თანაკლასელების მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე. კათედრების ფარგლებში მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, ურთიერთშეფასების რუბრიკები, ასევე შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმები და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

შეფასება ხორციელდება მრავალ კონტექსტზე დაყრდნობით და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, პროგრესსა და მიღწევებს. პროცესში ყურადღება ექცევა როგორც აკადემიურ შედეგებს, ისე ჩართულობას, ძალისხმევასა და თანამშრომლობის უნარებს. ასევე, შეფასებისას გათვალისწინებულია სასწავლო გარემო და დავალების ტიპი, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები. მონაცემები მიიღება დაკვირვების, წერითი და ზეპირი დავალებების, ტესტების, პროექტების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების გზით. მაგალითად, მოსწავლის ცოდნის შეფასება შეიძლება მოხდეს როგორც ტესტის შედეგებით, ისე პრეზენტაციის, მასწავლებლის დაკვირვების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მასწავლებლები მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს და ცდილობენ შექმნან მათზე მორგებული სასწავლო გარემო, მათ შორის უზრუნველყონ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალ სასწავლო წელს გეგმავენ კურიკულუმში უფრო მეტი მრავალფეროვანი აქტივობის გაწერას, რომლებიც მეტად იქნება მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის მეთოდოლია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

აღნიშნული პაკეტი მოიცავს რეკომენდაციებს კურიკულუმის გაუმჯობესების, სწავლა-სწავლების პროცესის დახვეწისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე უკეთ მორგების მიზნით. მაგალითად, რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს აქტივობების გამრავალფეროვნებას, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწას ან დამატებითი რესურსების დანერგვას.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილება და შეფასების შედეგები მნიშვნელოვნად გამოიყენება მომავალი წლის საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას. შესაბამისად, კურიკულუმის გადამუშავება ემყარება წინა წლის პრაქტიკას და მასში ასახულია მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 15.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ქეთევან ბოტკოველი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნინო წერეთელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

შორენა ბადურაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).